# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 4 მარტი 2005 №47 (2370) ფასი 50 თეთრი



## დინამო სალუქვაძეს შეელია

ლაშას დღეს-ხვალ ყაზანის რუბინი გაიფორმებს



## ალანიამ ლევან გვაზავა გაუშვა

3



## ტოტალური ფეხბურთის გენერალი

ევროპას რინუს მიხელსი მოუკვდა

5

# შემომეყარა ყირგიზი

## წაუგებელი გოგოლაძე წაუგებელი რაიმკულოვის წინააღმდეგ





ამერიკულად 4 მარტის საღამოს, ჩვენებურად კი ხვალ გამთენიისას, მისისიპის შტატში, კაზინო „სილვერ სტარში“ შედგება ტელეარხ „შოუთაიმის“ მიერ ორგანიზებული მორიგი დიდი კრივის საღამო. ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ სერიოზული პროფესიული საკრივო შოუების ისტორიაში პირველად, დღის უმთავრეს ბრძოლაში ქართველი გამოვა.

მსუბუქ წონაში **WBC**-ს ვერსიით ოცდამეერთე ადგილზე მყოფი „კობრა“, იგივე კობა გოგოლაძე მასზე მაღალრეიტინგიან მოკრივეს, **WBC**-სვე მეცხრე ნომერს, ყირგიზ ალმაზბეკ რაიმკულოვს შეერკინება. ბრძოლას ინტრიგას გოგოლაძისა და რაიმკულოვის სტატისტიკა მატებს. ჩვენებურს აქამდე პროფესიონალებში ჩვიდმეტჯერ უკრივია და ჩვიდმეტჯერვე მოუგია, აქედან შვიდჯერ ნოკაუტით. ყირგიზის ანგარიშზე კი ცხრამეტი შეხვედრიდან ცხრამეტი გამარჯვებაა, თერთმეტი ნოკაუტით.

ხვალ ერთ-ერთი დაუმარცხებლის სახელს დაკარგავს.

# უკრაინის პარლამენტი ჩვენი მეტოქის მეტოქეა

## ოლეგ ბლოხინს ულტიმატუმი წაუყენეს



# ლანჩხუთში ქვა არ იქნება?!

## ტორპედო დინამოს შევარდნაძეზე მიიღებს



ბადრი კოთლიანის ფოტო

**ხვალ**, ჩემპიონატის მორიგ ტურში ქუთაისის „ტორპედო" თბილისის „დინამოს" ლანჩხუთში, „ევგრაფი შევარდნაძეზე" უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, ქუთაისელები წინა პარასკევს „ზესტაფონთან" მატჩის შემდეგ ტრიბუნაზე მომხდარი აურზაურის გამო ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა დასაჯა, „ტორპედოს" სტადიონს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი და მწვრთნელი ოთარ გაბელია 500-500 ლარით დააჯარიმა, თავად კლუბი კი 1000-ით.

„ტორპედოს" „დინამოს" სამასპინძლოდ ფოთის „ფაზისი" და ლანჩხუთის „ევგრაფი შევარდნაძე" ეგულებოდა. ქუთაისელებმა არჩევანი გურულების სარბიელზე შეაჩერეს. მატჩი ხვალ 2 საათზე დაიწყება.

ასე რომ, ლანჩხუთელებს საინტერესო და ძალიან პრინციპული თამაშის ხილვა მოუწევთ. „ტორპედო" — „დინამოს" ინტრიგა ხომ არასდროს აკლდა და, მით უმეტეს, ახლა მათი მეტოქეობა ერთიორად ემოციური იქნება: ორივე გუნდი ბოლო ორ ტურში დამარცხდა. „ტორპედო" „ზესტაფონთან" და „კოლხეთთან", „დინამო" კი „ვიტ ჯორჯიასთან" და „თბილისთან". წაგებას რომელი გაასამებს, ლანჩხუთში გამოჩნდება.

პროფლიგამ ამ მატჩის მსაჯობა ალექსანდრე კრიჭაშვილს, მეტსახელად „რემბოს" მიანდო. ინსპექტორი კი ლანჩხუთელი ოთარ გუნთაძე იქნება.

**კობა ინასარიძე**

---

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

რაც უნდა გასაკვირი იყოს, ჩვენი შესარჩევი ჯგუფის ლიდერ უკრაინას, შესაძლოა, მთავარი მწვრთნელი შეეცვალოს. უკრაინელები ჯგუფში ისე დაწინაურდნენ, რომ გერმანიის მუნდიალზე გასვლამდე ერთი-ორი ნაბიჯიღა დარჩენიათ, მაგრამ ოლეგ ბლოხინს შედეგს კი არ უწუნებენ...

# უკრაინის ნაკრები უბლოხინოდ?

## მწვრთნელს რადა პრესინგს ეთამაშება



მწვრთნელობა პედაგოგიკის სფეროს განეკუთვნება და დეპუტატს იგი არ ეკრძალება. ბლოხინს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმაც დაუჭირა მხარი — გარდა იმისა, რომ მწვრთნელობა არ ეკრძალება, ბლოხინი ნაკრებში ხელფასსაც არ იღებს და საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობსო.

და მაინც, 1975 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი ნაკრებიდან წასვლას არ გამორიცხავს: „დაწოლაც რომ არა, ბოლო დროს გერმანული კლუბებიდან მივიღე წინადადებები და მათ სერიოზულად განვიხილავ" — ამბობს ოლეგ ბლოხინი.

თუ მართლაც ასე მოხდა, არა გვგონია, უკრაინის ნაკრებს ხეირი დაადგეს, რაც, ერთი მხრივ, საქართველოს ნაკრების წისქვილზეც დაასხამს წყალს — უკრაინა ხომ სექტემბერში თბილისშია ჩამოსასვლელი.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფის ლიდერები უახლოეს შესარჩევ შეხვედრას 30 მარტს კიევში დანიასთან გამართავენ.

### უკრაინა

აქ სხვა, პოლიტიკური ამბავია: ბლოხინს არ მოსწონს მასზე უკრაინის სახალხო რადას დეპუტატების დაწოლა. კერძოდ, დეპუტატები მოითხოვენ, ოლეგ ვლადიმიროვიჩმა დეპუტატის მანდატი დატოვოს, რადგან უკრაინის ნაკრებს თავკაცობს. არადა, კანონის მიხედვით,

**ილია ნანობაშვილი**

### ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი

ჰსვ ეინდჰოვენი 6:1 ოსი

ფეიენოორდი 4:0 ბრედა

### პორტუგალია

თასის მეოთხედფინალი

ბენფიკა 1:0 ბეირა მარი

### როიალ ლიგა 2005

მეორე ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

A ჯგუფი

კოპენჰაგენი (დანია) 2:2 რუსენბორგი (ნორვეგია)

B ჯგუფი

ვოლერენგა (ნორვეგია) — გიოტებორგი (შვედეთი) გადაიდო

---

# მსაჯებნაკბენი ტორპედო არ შედრკება

## გოლდამშენის ცეცხლი: აუცილებლად ჩამოდით და მოვიგებთ

მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირებში ორხელისუფლებიანობაა — დინამოელ ლევან მელქაძეს და ტორპედოელ გია მეგრელაძეს 13-13 გოლი გაუტანიათ და უახლოეს მდევრებს ექვსი ბურთით უსწრებენ. ჩემპიონატის ცხრილში კი „ტორპედო" ორი ქულით ჩამორჩება პირველადგილოსან „დინამოს" და ეს გუნდები დამდეგ ტურში, 5 მარტს ხვდებიან ერთმანეთს.

რაც მეორე ეტაპი დაიწყო, ქუთაისის „ტორპედოს" თამაში არ მოუგია — ჯერ შინ დაუზავდა „ლოკომოტივს" (0:0), მერე „ზესტაფონი" ისტუმრა და 0:1 წააგო, ბოლოს კი ფოთში „კოლხეთთან" 1:2 დამარცხდა

„ეს ყველაფერი მსაჯების ბრალია, თორემ გუნდში ნორმალური სიტუაციაა. ბოლო ორ შეხვედრაში ჩვენ სასარგებლოდ ოთხი პენალტი უნდა დაენიშნათ, აქედან სამი „ზესტაფონთან" — ორჯერ ჩემთან ორთაბრძოლისას იყო დასანიშნი 11-მეტრიანი, ერთხელ კი ზურაბ იონანიძემ ითამაშა ხელით" — გვითხრა მეგრელაძემ, ვისაც კარგად გამოუთვლია მისი აზრით დასანიშნი პენალტები.

მაგრამ, თუ მართლაც ისეა საქმე, როგორც მეგრელაძე ამბობს, რატომ, რისთვის ემტერებიან მსაჯები ქუთაისელებს?

„არ ვიცი, ვინ დგას ყველაფერ ამის უკან, მაგრამ მსაჯები რომ ცუდად გვექცევიან, ფაქტია. რაც ჩემპიონატი განახლდა, მსაჯებმა ნელ-ნელა დაგვიწყეს კბენა" — დასძენს მეგრელაძე და იქვე ამბობს, რომ მეორე ეტაპის პირველ მატჩში „ლოკომოტივთან" ქუთაისელებს მსაჯების მიმართ საპრეტენზიო არაფერი ჰქონიათ.

„ლოკომოტივის" შემდეგ „ტორპედომ" „ზესტაფონს" უმასპინძლა, საკმაოდ ბევრი საგოლე შანსი გააცუდა, ხოლო ბოლო წუთზე აქეთ გაუშვა გოლი და დამარცხდა. ამას დაემატა უკმაყოფილება მსაჯების მიმართ და გულშემატკივრებმაც ტრიბუნიდან ნაირგვარი საგნები დაუშინეს მსაჯებს. შედეგად, ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ტორპედოს" სტადიონს ერთმატჩიანი უქმობა გამოუწერა, 5 მარტს „ტორპედო" „დინამოს" ლანჩხუთში უმასპინძლებს.

„ტორპედო" VS „დინამო" — ჩვენი განზომილებით ეს დერბიზე უფრო მეტია, დომხალი მოზღვავებული ინსტინქტებისა და შესაძლებლობებისა, რომელზეც მეგრელაძემ გვითხრა:

„თამაში ლანჩხუთში გაიმართება. ამ ეტაპზე მაინცდამაინც არც „დინამო" გამოიყურება კარგად. მთავარია, ნორმალური მსაჯობა იყოს და, თუ ასე მოხდა, მოიგებს ის, ვისაც უფრო გაუმართლებს".

ამ ცოტა ხნის წინ „ტორპედოს" თავკაცმა ოთარ გაბელიამ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საჩემპიონო გუნდი ჯერ არ გვყავსო. თუმც „ტორპედო" „დინამოს" ოდენ ორი ქულით ჩამორჩება და ნუთუ საჩემპიონო რბოლაზე ხელს ჩაიქნევს?

„თუ გუნდი ჩემპიონობას ისახავს მიზნად, ეს კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონის წინ უნდა თქვას, ჩვენ კი ჩემპიონატის დაწყებისას ასეთი მიზანი არ გვქონია. მოკლედ, დინებას მივყვებით, რაც გამოვა, ის იქნება. მაგრამ ფეხბურთელებს საკუთარი, განსაკუთრებული ჟინი გვაქვს და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა „დინამოსთან" კარგად ვითამაშოთ" — პირობას დებს მეგრელაძე.

საშუასეზონო პერიოდში მეგრელაძემ თბილისში, დილმის ბაზაზე ამოჰყო თავი, რამდენჯერმე ივარჯიშა „დინამოში", მაგრამ ტრანსფერი არ შედგა.

„ეს საქმე რომ არ გამოვიდა, ძალიან ვნანობ, აბა, რომელი ფეხბურთელი არ ინანებს „დინამოში" არმოხვედრას? ტრანსფერი რომ არ შედგა, ამას მხოლოდ მეორე მხარეს არ ვაბრალებ — ეს ჩემი ბრალიც იყო და „დინამოსიც" — განმარტავს „ტორპედოში" დაბრუნებული მეგოლე, ვინც მეორე ეტაპზე მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა — „ერთის მაგივრად ოთხი უნდა შემეგდო, მაგრამ გოლი კარგი მომენტიდან ყოველთვის ვერ გაგაქვს, ხან კი ისეთი გოლს შეაგდებ, თვითონ გაგიკვირდება".

ხვალ კი ლანჩხუთში „ტორპედო" — „დინამოა"...

„გულშემატკივრის დახმარება ძალიან გვჭირდება. ქუთაისელ ქომაგებს მოვუწოდებ, აუცილებლად ჩამოვიდნენ თამაშზე, სანაცვლოდ კარგ თამაშს და მოგებას ვპირდებით" — ცეცხლს ანთებს მეგრელაძე.

**დავით თაგართქილაძე**



ბადრი კოთლიანის ფოტო



# ნუ გეშინიათ!

## ასათიანს დასვენება სჭირდება

**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერის, მალხაზ ასათიანის ტრავმა, საბედნიეროდ, სერიოზული არ გამოდგა და რამდენიმე დღეში ჩვენებური სრული დატვირთვით განაახლებს ვარჯიშს.

შეგახსენებთ, რომ ასათიანი ესპანურ შეკრებაზე დაშავდა — კუნთი დაეჭიმა და ორი ამხანაგური მატჩიც გამოტოვა. მოსკოვში დაბრუნებამდე ექიმებმა მალხაზს ზუსტი დიაგნოზიც ვერ დაუსვეს და, ეჭვებიც მაშინ გაჩნდა — შესაძლოა, ასათიანს ხანგრძლივმა უქმობამ მოუწიოსო.

— საშიში არაფერია. კუნთი მაქვს დაჭიმული და, როგორც ექიმებმა მითხრეს, დასვენება მჭირდება. ახლა ფეხი კი მტკივა, მაგრამ ერთ-ორ დღეში ალბათ გამივლის. დღეს და ხვალ აღარ ვივარჯიშებ, ზეგ კი ვნახოთ, როგორ იქნება — გვითხრა მალხაზ ასათიანმა.

მოკლედ, ასათიანი ახლა ისვენებს, გუნდი კი სასუპერთასოდ ემზადება. რუსეთის ჩემპიონი „ლოკომოტივი“ 6 მარტს თასის მფლობელ გროზნოს „ტერეკს“ ეთამაშება. მოასწრებს თუ არა მანამდე მომჯობინებას მალხაზი, ძნელი სათქმელია. ის კი თითქმის გადაწყვეტილია, რომ რკინიგზელთა მეორე ქართველი მიხეილ აშვეთია შეცვლაზე მაინც ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, აშვეთიას შეკრებაზე თამაში არ გამოუტოვებია და ორი გოლიც გაიტანა.

**ჰაჰა ზალამბერიძე**

# იყო კვინტეტი, გახდა კვარტეტი

## ალანიამ ლევან გვაზავა გაუშვა

**ვლადიკავკაზის** „ალანია“ ერთ ქართველს შეელია. სრულიად მოულოდნელად, კლუბმა ლევან გვაზავა ტრანსფერზე დააყენა.

„ჩვენ ამ ფეხბურთელის კლასში ეჭვი არ გვეპარება. უბრალოდ, იგი გუნდის მექანიზმში ვერ ჩაჯდა“ — ასეთია „ალანიას“ სამწვრთნელო შტაბის კომენტარი.

არადა, ოსური გუნდის თავკაც ბახვა თედეევს გვაზავა ძალიან მოსწონდა — მას ყველა თვისება აქვს საიმისოდ, რათა ჩვენი ლიდერთაგანი გახდესო, ამბობდა. ასეა თუ ისე, 24 წლის ქართველს ახალი კლუბის ძიება მოუწევს.

„ლევანს ნახევარდაცვის ცენტრში პრობლემების მოგვარება შეეძლო. ამ ფეხბურთელს ორივე ფეხით შეუძლია თამაში, ინდივიდუალური ტექნიკაც გამოარჩევს, ნახევარდაცვაში ორივე ფლანგზე კარგად გამოიყურება და უკანდაწეულ თავდამსხმელადაც ვარგა. გვაზავას დარი საინტერესო და პერსპექტიული მოთამაშის ტრანსფერზე დაყენება ცოტა უცნაურია“ — გაკვირვებული წერენ „ალანიას“ ვებ-გვერდის ჟურნალისტები.

გუშინ ოსურმა კლუბმა სანკტ- პეტერბურგის „ზენიტის“ დუბლებს ტესტ-მატჩში 1:0 მოუგო, გოლი კი ბაზაევის პასით მოლდოველმა ტუდორმა გაიტანა. „ალანიამ“ შერეული შემადგენლობით ითამაშა: ლადო ბურდული და ჯაბა კანკავა პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, გამოჯანმრთელებული ვიტალი დარასელია 66-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე, დავით კვირკველიას კი არ უთამაშია.



**ილია ნანობაშვილი**

# ალეკო პირველი

## დნიპროს პრინციპი 250 ათასი დოლარი ღირს

***ალეკო ამისულაშვილის** კიევური გაურკვევლობა, სულ მცირე, სეზონის ბოლომდე დამთავრდა. „დინამომ“ ჩვენიანი მცველი დნიპროპეტროვსკის „დნიპროში“ გაანათხოვრა და სანაცვლოდ 250 ათასი დოლარი მიიღო. ამისულაშვილი, რომელიც თბილისის „დინამოდან“ კიევისაში ერთი წლის წინ გადავიდა და მას შემდეგ უკრაინის ჩემპიონის ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია, „დნიპროში“ ჩემპიონატის ბოლომდე დარჩება, მერე კიევის „დინამო“ და „დნიპრო“ ფეხბურთელის მომავალზე მოლაპარაკებას, ალბათ, თავიდან დაიწყებენ.*

*საინტერესოა ისიც, რომ ამისულაშვილის ახალი გუნდი თითქმის წმინდა უკრაინულია, ალეკო „დნიპროს“ პირველი ლეგიონერია.*

— „დნიპროს“ უკრაინაში განსაკუთრებულად აფასებენ. ქვეყნის ნაკრების საბაზო გუნდია და აქამდე ლეგიონერი არ ჰყავდა. ოლეგ ბლოხინს ეროვნულ გუნდში 12-13 დნიპროელი ჰყავს — გვითხრა ალეკო ამისულაშვილმა, როცა დნიპროპეტროვსკში დავუკავშირდით — უკრაინის ნაკრების ამჟამინდელი შედეგი კი მეტწილად სწორედ „დნიპროს“ ფეხბურთელების დამსახურებაა. ბლოხინი ყოველ მატჩში 5-6 აქაურს ათამაშებს.

**— გამოდის, „დნიპროს“ პირველი უცხოელი შენ ხარ.**

— მწვრთნელმა ევგენი კუჩერევსკიმ, ვინც, სხვათა შორის, უკრაინაში დიდი პატივისცემით სარგებლობს, პირველი შეხვედრისთანავე სწორედ ეგ მითხრა, გუნდის პირველი ლეგიონერი ხარო. არ ვიცი, „დნიპრო“ უცხოელი ფეხბურთელების შეძენას რატომ ერიდება, თუმც ფაქტია, გუნდს ლეგიონერი აქამდე არ ჰყავდა. შესაძლოა, ეს „დნიპროს“ ხელმძღვანელობისთვის ერთგვარად პრინციპული საკითხია.



**— „დნიპროში“ სეზონის ბოლომდე ხარ განათხოვრებული. გამორიცხულია, რომ ამ გუნდში მეტ ხანსაც დარჩე?**

— დნიპროპეტროვსკში წამოსვლამდე „დინამოს“ მწვრთნელს ვესაუბრე. მითხრა, „დნიპროს“ შენი ყიდვაც სურდა, მაგრამ ჩვენ ვიყავით წინააღმდეგნიო. „დინამომ“ „დნიპროში“ ჩემთან ერთად ორი ფეხბურთელიც გაანათხოვრა და სეზონის მერე სამივენი უკან უნდა დავბრუნდეთ. „დნიპრო“ თუ ჩემ ყიდვას მოისურვებს, ამის თაობაზე „დინამოსთან“ ცალკე უნდა მოილაპარაკოს. ჯერჯერობით კი ამ გუნდში განათხოვრებული ვარ.

**— და როდის ითამაშებ? მეორე წრის პირველ მატჩში განაცხადშიც არ ყოფილხარ.**

— ფორმაში არ ვარ და „ობოლონთან“ შეხვედრაც ამიტომ გამოვტოვე. საქმე ისაა, რომ თბილისიდან კიევში სანაკრებო მატჩის შემდეგ დაბრუნებულს, ფაქტობრივად, არ მივარჯიშია. „დინამოს“ ძირითადი და მეორე გუნდები უცხოურ შეკრებაზე იყვნენ. კიევში მარტო დავრჩი და მხოლოდ ინდივიდუალურად ვემზადებოდი. სამი კვირა ასე გაგრძელდა და როცა „დნიპროს“ შევუერთდი, აშკარად ვიგრძენი, რომ შესაბამის ფიზიკურ კონდიციაში არ ვიყავი. კუჩერევსკიმ ეს ამბავი კარგად იცის და არც მაჩქარებს. თუმც შესაძლოა 6 მარტს კიევში „არსენალთან“ მაინც მათამაშოს.

**— ჩავთვალოთ, რომ „დნიპროში“ გადასვლის შემდეგ ძირითადში მოხვედრის პრობლემა აღარ გექნება?**

— ვნახოთ, ალბათ, ასეც იქნება. კუჩერევსკის რომ არ ვჭირდებოდე, ნემში „დინამოს“ ფულს არ გადაუხდიდნენ.

**— „დნიპროში“ დიდი კონკურენციაა?**

— ყოველ შემთხვევაში, არაფერს გავუკვირვებივარ. კონკურენცია კი მეტ-ნაკლებად ყველა გუნდშია. ძირითადში თამაშის გარანტიას მწვრთნელი, აბა, რომელ ფეხბურთელს მისცემს, ეს უნდა დაიმსახურო. მაგალითად, აგერ, ახლა კუჩერევსკიმ უდისციპლინობისთვის უკრაინის ნაკრების წევრი რიკუნი დაითხოვა გუნდიდან. მწვრთნელისთვის ავტორიტეტები არ არიან, ვინც იმსახურებს, ის თამაშობს.

**— ზოგადად, რა გუნდია „დნიპრო“?**

— უკრაინაში ოთხი გამორჩეული გუნდია: „დინამო“, „შახტარი“, დონეცკის „მეტალურგი“ და „დნიპრო“. თანაც, „დნიპრო“ სულ უკრაინელებით კია დაკომპლექტებული, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველასგან განსხვავებულ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს და ძალიან ბევრი ქომაგიც ჰყავს. გუნდი უეფას თასზე თამაშობდა და უკრაინის ჩემპიონატში შარშანდელივით ვერ ყოჩაღობდა, მაგრამ ახლა ევროპას ჩამოვშორდით და მხოლოდ ჩემპიონატზე ვფიქრობთ.

**ძოგა ინასარიძე**

# ორი წითელი

## ედინბურგში მოხდა ის, რაც არც ქუთაისში მომხდარა, არც ბოლნისში და არც გორში

**მსაჯებზე** გაწევა, გინება თუ ხელის აღმართვა მხოლოდ ქუთაისში, ბოლნისში და გორში როდი ხდება — შოტლანდიური პრემიერლიგის ბოლო ტურში „რეინჯერსმა" ედინბურგში „ჰარტსს" მოუგო, გადამწყვეტი გოლი ბოლო წუთზე ფერნანდო რიკსენმა გაიტანა იმ პენალტით, რომლის დანიშვნას ერთი ამბავი მოჰყვა. შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი ამ მატჩის განაცხადშიც არ იყვნენ, თუმც ამბის გასაგებად მაინც არველაძეს დავუკავშირდით...

— თამაში ტელევიზორში ვნახე და გადაჭრით ვერ ვიტყვი, იყო თუ არა 11-მეტრიანი. არბიტრმა პენალტი ლაინსმენთან კონსულტაციის შემდეგ დანიშნა, რის შემდეგაც „ჰართსის" ფეხბურთელები მსაჯებს მისცვივდნენ. ერთ-ერთმა ჰართსელმა კი ორი წითელი ბარათი დაიმსახურა — ამდენი ხანია ფეხბურთს ვთამაშობ, მაგრამ ასეთი რამ თუ შეიძლებოდა, არ მეგონა. ამ ჰართსელმა ჯერ ლაინსმენს ჰკრა მხარი და პირველი წითელიც ამად დაიმსახურა, მერე არბიტრს შეაგინა და მეორეჯერ ამოუღეს ბარათი. როგორც „რეინჯერსში" მითხრეს, ერთ-ერთ უწინდელ თამაშზე „დანდი იუნაიტედის" ფეხბურთელს არბიტრმა სამჯერ უჩვენა წითელი ბარათი. რამდენი დანაშაულიც იქნება, იმდენი წითელი ბარათი — თურმე ასეთი წესიც ყოფილა" — გვითხრა არველაძემ.

რაც შეეხება არველაძისა და ხიზანიშვილის უთამაშებლობას, ისინი გრიპისგან ახლახან გამოჯანმრთელებულან და ამიტომ არ უთამაშიათ, თუმც არველაძეს წვივის კუნთიც ვერ მოურჩენია ბოლომდე.

**დავით თავართქილაძე**



„ვიტ ჯორჯიას" საქართველოში მოუხელთებლის სახელი აქვს. ეს გუნდი თავის საქმეს წყნარად აკეთებს და მომაბეზრებელ ამბიციურ განცხადებებს ერიდება ხოლმე. ჯანი კარნევალის სამწყსომ ჩემპიონატის მეორე ეტაპი ფეხმარჯვედ დაიწყო, თბილისის „დინამოც" წააქცია და მთავარ ფავორიტს 7 ქულით მიუახლოვდა. ვეტერინარები საქართველოს თასის ნახევარფინალსაც შემორჩნენ. მოკლედ, საგაზაფხულოდ მიზნები მოუმრავლდათ.

სინიორ ჯანისთვის არც „დინამოს" დამარცხებაა უცხო და არც უწვერული ბიჭებისგან მებრძოლი გუნდის შექმნა. დიდი არა, მაგრამ რაღაც სიახლეები იტალიელმა მწვრთნელმა მართლაც შეიტანა „ვიტ ჯორჯიაში"...



# დონე უკან, ვიტ ჯორჯია წინ

## ჯანიმ ვიტელები შეაჯანჯღარა

— მეორე ეტაპზე კარგად ავთამაშდით, სამ მატჩში აღებული 7 ქულა ნორმალური შედეგია, თუმც ერეკლე მერებაშვილი და დავით იმედაშვილი რომ დაგვიბრუნდებიან, მერე უფრო იმედიანად ვიქნები. მერებაშვილი ანთალიურ შეკრებაზე დაშავდა და დაახლოებით ორ კვირაში შეძლებს თამაშს, იმედაშვილი კი უკვე მწყობრშია და ეგებ მომდევნო ტურში „ბათუმთანაც" ითამაშოს.

**— „დინამომ" შემადგენლობა გააძლიერა, თუმც თქვენთან ვერაფერი გააწყო. მაინც რის ხარჯზე მოუგეთ გეგუჩაძის გუნდს?**

— ეს ფეხბურთია და მთავარი საქმე ფეხბურთელებმა გააკეთეს. ბიჭებმა ჩემი დავალება ხუთიანზე შეასრულეს, ტაქტიკურადაც აზრიანად ვითამაშეთ და „დინამოს" გადარჩენის შანსი არ მივეცით. შესაძლოა, დინამოელებს რაღაც პრობლემები აქვთ, მაგრამ ეს ჩვენი პრობლემა არ არის.

**— თქვენ მოსვლამდე ზაზა სახოკია „ვიტ ჯორჯიას" ძირითადში იშვიათად ხვდებოდა, ამ სამ თამაშში კი ურიგოდ არ უთამაშია. გარდა ამისა, მარჯვენაფლანგელი პავლე დათუნაიშვილი ნახევარდაცვის ცენტრში გადაამწესეთ. ეს ექსპერიმენტებია თუ ოპტიმალურ სქემას მიაგენით?**

— ექსპერიმენტები ვარჯიშებზე და ანთალიაში გვქონდა, ახლა ამის დრო არ არის. გუნდმა მხოლოდ ერთი სისტემით არ უნდა ითამაშოს. როცა ატყობ, რომ უნივერსალური ფეხბურთელი გყავს, რატომ არ უნდა გამოიყენო ის სხვადასხვა პოზიციაზე?! გორში დათუნაიშვილი ჯერ ცენტრში, მერე კი მარცხენა ნახევარმცველადაც დავაყენე. სახოკია კი ნელ-ნელა ეჩვევა ძირითად შემადგენლობას და თავის ძალებში დამარწმუნა. ახლა დავით ლომაიას ჯერიც დადგა, მასაც ხშირად ვათამაშებთ.

**— დღეს გუნდის ლიდერი ვინ არის?**

— ერთ კაცზე დამოკიდებული გუნდისა არ მწამს, „ვიტ ჯორჯია" ერთიანი კოლექტივია. ისე კი, ჩვენს მთავარ ღერძს დაცვაში ინწკირველ-კობიაშვილი, შუა ხაზში დიღმელაშვილი, ხოლო თავდასხმაში მარცვალაძე წარმოადგენენ.

**— „ვიტ ჯორჯიას" უკვე მესამედ ჩაუდექით სათავეში. თქვენს წინანდელ და ახლანდელ გუნდს როგორ შეადარებთ?**

— ახლანდელი უკეთესია იმ მხრივ, რომ ორი წლის წინ უფრო ბევრი გამოუცდელი ფეხბურთელი მყავდა გუნდში, ახლა კი ეს პრობლემა ნაკლებადაა. კი, 19-20 წლის ბიჭები ახლაც არიან „ვიტ ჯორჯიაში", მაგრამ რამდენიმე მათგანი უკვე ჩამოყალიბებული მოთამაშეა. მათ დრო უნდა მივცეთ, დონეს აიმაღლებენ და უფრო მოვუმატებთ.

**— მთლიანად ჩვენს ჩემპიონატში თუ დაგხვდათ რამე შეცვლილი სასიკეთოდ?**

— ორი-სამი წლის წინ უკეთესი გუნდები იყვნენ. ბევრი ფეხბურთელი წავიდა იგივე „ტორპედოდან", „დინამოდან" და „ლოკომოტივიდან", რაც საერთო დონესაც დაეტყო. ახლა ახალგაზრდები უფრო ჩანან, თუმც ისინი რომ დაიხვეწებიან, პროგრესიც მოვა. მოკლედ, ჩემპიონატის დონეს უკეთესობა ჯერ არ ეტყობა.

**— როგორ ფიქრობთ, ჩემპიონატის დონის ამაღლებას უხარისხო მინდვრები არ აფერხებს?**

— რა თქმა უნდა. იმ მოთამაშეს და იმ გუნდს, რომელსაც ბურთის გაგორება და ტექნიკური ფეხბურთი უყვარს, ასეთი მინდორი ნერვებს უშლის. ეს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა საქართველოში.

**— ერთი თვის წინ თქვით, რომ თებერვალში თქვენი მეგობარი, „ვერონას" მენეჯერი პასტორელო უნდა ჩამოსულიყო „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელების სანახავად...**

— პასტორელო ალბათ აპრილში ჩამოვა. მას ახლაც უნდოდა სტუმრობა, მაგრამ უამინდობის გამო თავი შეიკავა.

**— „ვიტ ჯორჯია" ლიდერებს მიუახლოვდა და ალბათ ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ.**

— ლიდერთან 13 ქულას ვაგებდით, ახლა კი სხვაობა მხოლოდ 7 ქულაა. ჩვენ ყველა მატჩში მოსაგებად გავალთ და რა გამოვა, ვნახოთ. შაბათს „ბათუმს" ვხვდებით, ამ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელს ვიცნობ. როდესაც ბათუმელებს ვწვრთნიდი, ნუკრი გოგიტიძე ჩემი ასისტენტი იყო და ვიცი, რომ იგი მონდომებული კაცია. რასაც მე ვუყურებ, „დინამო" მაინც ყველაზე ძლიერი ჩანს, კარგი შემადგენლობა ჰყავს...

**— ეს კარგი, მაგრამ ევროტურნირებზე „ვიტ ჯორჯია" რატომ ვერ თამაშობს რიგიანად?**

— ევროპა სხვა დონეა. ნახეთ, ჩვენ 19-20 წლის გამოუცდელი ბიჭები გვყავს, მაგალითად, „ვისლაში" კი 30 წლის დაღვინებული ფეხბურთელები თამაშობენ. საქართველოში კი ყველა გამორჩეული მოთამაშე უცხოეთში მიდის.

**ილია ნანოგაშვილი**



ჯანი კარნევალის ერთ-ერთმა იმედმა ოთარ მარცვალაძემ მეორე ეტაპის სამ მატჩში სამი გოლი გაიტანა

# თქვენი ინტერვიუ

## ზურაბ ხიზანიშვილთან

«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია



*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს" ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

*გუშინ გამთენიისას, თბილისის დროით 7 საათზე ბელგიურ კლინიკაში, 77 წლისა გარდაიცვალა რინუს მიხელსი, მეოცე საუკუნის უდიდესი მწვრთნელი. მიხელსს გული აწუხებდა და კლინიკაში საოპერაციოდ დააწვინეს.*

*„ფეხბურთის ისტორიაში ის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი იყო“ — თქვა ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის სპიკერმა ფრანკ ჰუიზინგამ და მას შეიძლება შეედავო. რატომ ერთ-ერთი? 1999 წელს ფიფამ მიხელსი საუკუნის უდიდეს მწვრთნელად დაასახელა*



# ტოტალური ფეხბურთის გენერალი
## ევროპას რინუს მიხელსი მოუკვდა

**მსოფლიოში** ბევრი დიდი და ტიტულიანი მწვრთნელი იყო და არის, მაგრამ არცერთს არ მიუძღვის ფეხბურთის განვითარებაში იმხელა წვლი, რამდენიც რინუს მიხელსს. ბევრმა მწვრთნელმა რაღაც შემატა ფეხბურთს, მაგრამ მიხელსის გარდა, ვერავინ მოახერხა თვისობრივად შეეცვალა ეს თამაში. ფაქტობრივად, ის ფეხბურთი, რომელსაც ახლა მთელი მსოფლიო თამაშობს, რინუს მიხელსის მოგონილია.

მარინუს ჰენდრიკუს იაკობუს მიხელსი 1928 წლის 9 თებერვალს დაიბადა ამსტერდამში. „აიაქსში“ თამაშობდა და 269 მატჩში 121 გოლიც გაიტანა. ჰოლანდიის ნაკრებშიც უთამაშია, მაგრამ ასეთ უცნაურობასთან გვაქვს საქმე: მიხელსმა „ნარინჯისფერი“ სამოსით მხოლოდ ხუთი მატჩი ჩაატარა და მათგან ჰოლანდიელებმა ერთიც ვერ მოიგეს.

1965-ში, ფეხბურთელის კარიერის დასრულებიდან შვიდი წლის მერე რინუს მიხელსი „აიაქსის“ მწვრთნელი გახდა, მაგრამ თხრობა სრული არ გამოგვივა, რომ არ ვთქვათ, ის შვიდი წელი რას აკეთებდა. მიხელსი გონებადაქვეითებულთა სკოლაში მუშაობდა ფიზკულტურის მასწავლებლად და თავის გაკვეთილებზე ბავშვებს მეტწილად ფეხბურთს ათამაშებდა. სკოლაში მუშაობის პერიოდში მიხელსმა ფსიქოლოგიის დოქტორის წოდებაც მიიღო უნარშეზღუდული ბავშვების სპორტული შესაძლებლობების საკითხების გამოკვლევის გამო.

ეგებ სწორედ იმ სპეციალიზებულ სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილების დროს შეიმუშავა მიხელსმა ახალი სისტემა, წლების მერე „ტოტალური ფეხბურთი“ რომ უწოდეს?

როგორც უკვე გითხარით, 1965 წელს რინუს მიხელსი „აიაქსში“ მივიდა. იმ დროს, როცა ჰოლანდიური ფეხბურთი ბევრს არაფერს წარმოადგენდა.

მისვლისთანავე მიხელსმა „აიაქსში“ თავისი რევოლუციური იდეების განხორციელება დაიწყო. პრინციპი ასეთი იყო: ყველა წინ, ყველა უკან; მოედნის ყოველ მონაკვეთზე ბურთისთვის მუდმივი და თანმიმდევრული ბრძოლა; თითოეული მოთამაშისგან „შავი სამუშაოს“ მაქსიმალური მოთხოვნა. ანუ ყველაფერი ის, რის გარეშეც თანამედროვე ფეხბურთი წარმოუდგენელია, იმ დროს კი არავინ მისდევდა.

ერთი წლის მერე, მიხელსის მეორე აიაქსურ სეზონში მასთან „ფეიენოორდის“ მწვრთნელი ერნსტ ჰაპელი მივიდა და უთხრა, რინუს, შენ რაღაც ახალი მოიგონე.

ეს რომ მართლა ასე იყო, ჩემპიონთა თასზე გამოჩნდა — მაშინ, ჯერ კიდევ მოკრძალებულმა „აიაქსმა“ ბილ შენკლის დიად „ლივერპულს“ 5:1 მოუგო.

ჰაპელი გამჭრიახი კაცი იყო, პირველი მიხვდა, რასაც ნიშნავდა მიხელსის გამოგონება და მისი მიბაძვა დაიწყო. შედეგად, 1970 წელს ჰაპელის „ფეიენოორდი“ პირველი ჰოლანდიური კლუბი გახდა, ჩემპიონთა თასი რომ ასწია. ერთი წლით ადრე კი მიხელსის „აიაქსი“ გავიდა თასის ფინალში, თუმცა „მილანთან“ 1:4 დამარცხდა.

მაგრამ მიხელსმა“ მაინც მოაგებინა „აიაქსს“ ჩემპიონთა თასი. ეს „ფეიენოორდის“ ზეობის მომდევნო სეზონში მოხდა. ამის მერე კი „აიაქსმა“ ზედიზედ კიდევ ორჯერ მოიგო ევროპის საკლუბო ჩემპიონობა.

თუმცა, ამ ორი ჩემპიონობისას „აიაქსის“ მწვრთნელი უკვე სტეფან კოვაჩი იყო, მიხელსის საქმის გამგრძელებელი. სწორედ კოვაჩმა დახვეწა მიხელსისეული „ტოტალური ფეხბურთის“ სქემები და მის ხელში იქცა იოჰან კრუიფი დიად ფეხბურთელად, თუმცა კრუიფის აღმომჩენად მაინც მიხელსი რჩება, ვინაც 1971 წლის ჩემპიონთა თასის ფინალის მერე გუნდიდან წავიდა და „აიაქსს“ მწვრთნელად აღარასოდეს დაბრუნებია.

„აიაქსიდან“ რინუს მიხელსი „ბარსელონაში“ წავიდა და 1974-ში ესპანეთის ჩემპიონი გახადა. მერე კი იყო გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლის დროსაც მთელმა მსოფლიომ აღიარა მიხელსის რევოლუციური გამოგონება და ამ ჩემპიონატიდან მოყოლებული საბოლოოდ დამკვიდრდა „ტოტალური ფეხბურთის“ ცნება.

იმ ჩემპიონატის ფინალამდე მიხელსმა ჰოლანდიის ნაკრები ხუთი მოგებით და ერთი ფრით მიიყვანა. ჰოლანდიელებმა 14 გოლი გაიტანეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს. ფინალი კი, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ ისე დაიწყო, მათ დამარცხებას ბევრი ვერ წარმოიდგენდა — თამაში ჰოლანდიელთა 15-სვლიანი კომბინაციით, კრუიფის საჯარიმოში წაქცევით და იოჰან ნეესკენსის გატანილი პენალტით დაიწყო. ჰოლანდიამ გოლი ისე გაიტანა, რომ იქამდე გერმანელები ერთხელაც არ შეხებიან ბურთს.

მაგრამ ჩემპიონატის მასპინძლებმა ძალა მოიკრიფეს და პაულ ბრაიტნერისა და გერდ მიულერის გოლებით ჩემპიონები გახდნენ, ოღონდაც მიხელსის ავტორიტეტს ფინალში წაგება არ შეხებია.

ჩემპიონატის მერე მიხელსი ერთი წელი „აიაქსის“ ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა, მერე ისევ „ბარსელონაში“ დაბრუნდა და სამეფო თასი მოიგო. ერთ ხანს ლოს ანჯელესის „ატცეკსაც“ წვრთნიდა, ევროპაში დაბრუნებულმა, 1983-ში, „კიოლნს“ გერმანიის თასი მოაგებინა და ჰოლანდიის ნაკრები მეორედ ჩაიბარა.

1988 წლის ევროპის ჩემპიონატი, რომლის ფინალშიც ჰოლანდიამ საბჭოთა კავშირი 2:0 დაამარცხა, რინუს მიხელსის ბოლო მოგებული დიდი ტურნირი იყო. ცხადია, გეხსომებათ იმ ფინალში მარკო ვან ბასტენის მიერ რინატ დასაევისთვის გატანილი სრულიად გენიალური გოლი.

ახლა, მიხელსის გარდაცვალების მერე ვან ბასტენმა თქვა: „ის ჰოლანდიური ფეხბურთის მამა იყო და მსოფლიო ფეხბურთს დააკლდა.“

ნახსენები ფინალის კიდევ ერთმა მეგოლემ, ჰოლანდიელთა მაშინდელმა კაპიტანმა რუუდ გულიტმა კი თქვა, მასთან ერთად ყველაფრის მიღწევაზე შეგეძლო ფიქრიო.

ევროპის ჩემპიონატის მერე მიხელსმა ერთი სეზონი „ლევერკუზენში“ იმუშავა და ისევ ჰოლანდიის ნაკრებს დაუბრუნდა. სულ ახლოს იყო ევროპის ჩემპიონობის მეორედ მოგებასთან, მაგრამ ნახევარფინალში ჰოლანდია პენალტებით დამარცხდა მომავალ ჩემპიონ დანიასთან. ჰოლანდიელებმა ერთადერთი პენალტი გააფუჭეს და ის უიღბლო, წინა ჩემპიონატის გმირი მარკო ვან ბასტენი იყო.

რინუს მიხელსს მეტსახელიც ჰქონდა, „გენერალს“ ეძახდნენ, თუმცა იერით გენერლისა არაფერი ეცხო. მეცნიერს უფრო ჰგავდა.

**გიორგი დარჯანია**

# წაგება ისწავლე, შვილო...
## მაურინიუ წარჩინებული სტუდენტია

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაცია არ დასჯის ჟოზე მაურინიუს იმისთვის, ლიგის თასის ფინალიდან რომ გააძევეს.

მაშინ, „ჩელსის“ საპასუხო გოლით გახარებული მაურინიუ „ლივერპულის“ ფანებს მიუტრიალდა და ტუჩებზე თითის მიდებით ანიშნა დადუმდითო. თამაშის მეოთხე მსაჯმა პორტუგალიელი მინდვრის კიდიდან გააძევა „იმ პასუხისმგებლობის უგულვებელყოფისთვის, რაც მწვრთნელს აკისრია თამაშის მსვლელობისას“.

ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ ეს გაძევება საკმარისი სასჯელი იყო „ჩელსის“ თავკაცისთვის, რომელმაც თამაშის ნარჩენ ნაწილს გვირაბში, ტელევიზიით უყურა. თანაც მენეჯერმა თქვა, ფანებს კი არა, მედიას მივანიშნე დადუმებაო.

ასოციაციაში კი დევს მაურინიუს სხვა საქმეც, იმავე თასის ნახევარფინალის დროისა. მაშინ მაურინიუმ თქვა, რომ „მანჩესტერის“ ფეხბურთელებმა და მენეჯერმა შესვენებისას მსაჯი დააშინესო.

უეფაშიც დევს ერთი საქმე, რომელიც მთლად ცინცხალია: აქ მაურინიუ ზუსტად იგივეს ფრანკ რაიკარდსა და მის „ბარსელონას“ აბრალებს.

ამას თუ ისიც დაემატება, რომ ამ თვეში „ჩელსიმ“ პასუხი უნდა აგოს მისი ფეხბურთელების ქცევაზე „ბლექბერნთან“ მატჩისას, აშკარაა, რომ რომან აბრამოვიჩის გუნდს გვარიანი საქმეები დაუგროვდა.

ხოლო იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ასოციაციამ უნდა განიხილოს „ჩელსის“ გულშემატკივრების ქცევის საკითხი „ვესტ ჰემთან“ სათასო მატჩში და ასევე არსენალელ ეშლი კოულთან საიდუმლო მოლაპარაკების ამბავი, მაშინ გამოვა, რომ მინდორზე კარგად ყოფნის მიუხედავად, „ჩელსის“ გვარიანი პრობლემები აქვს.



ყოველივე ამას ფილოსოფიურად უმზერს მაურინიუს ძველი მასწავლებელი „ბარსელონაში“, მისი უფროსი სერ ბობი რობსონი.

სერ ბობი ამბობს: „ჟოზე კარგად მართავს გუნდს, ოღონდაც ხანდახან თავმდაბალი უნდა იყოს. მან უნდა ისწავლოს თავმდაბლობა. მისი წინსვლა ინგლისში მაგარი იყო, მაგრამ ჟოზემ წაგებაც უნდა ისწავლოს“.

სერ ბობი თურმე შიშობს, რომ „ჩელსის“ ტიტულისკენ წაძღოლა დიდი გამოცდაა მაურინიუს ხასიათისთვის: „მე მესმის, ის ყველასგან განსხვავებულია, ვინაიდან ის თამაშის ყველაზე კარგი სტუდენტია დღევანდელ მსოფლიოში. მოგებას რა ჯობია? ოღონდ, ხანდახან წაგებაც გიწევს და ამას ღირსეულად უნდა შეხვდე“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კა-სა-ნო! კა-სა-ნო!
## რეალმა ევროები დაყაჭა



**აი,** ცინცხალი ცნობა: იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა“ გუშინ დაწერა, რომ მადრიდის „რეალი“ მზადაა „რომას“ ახალგაზრდა თავდამსხმელის, ანტონიო კასანოს შესაძენად 18 მილიონი ევრო გაიღოს.

როგორც ხსენებულ გაზეთში წერია, კასანოს გადასაბირებლად ტურინის „იუვენტუსიცაა“ დაინტერესებული, მაგრამ ანტონიოს ხელში ჩასაგდებად „ბებერი ქალბატონი“ ოდენ 15 მილიონ ევროსა და ახალშეძენილ რუმინელ ფორვარდს, ადრიან მუტუს იმობს.

„რომას“ კი ალბათ, მადრიდელთა წინადადება უფრო მოხიბლავს, რადგანაც „რეალს“ რომაელის შეძენა თურმე ძალიან სურს და თუ ფრანკო სენსის, „რომას“ პრეზიდენტს ზემოთ დასახელებული თანხა ეცოტავა, მაშინ 18 მილიონი 25-მდეც გაიზრდება.

შეგახსენებთ, ანტონიო კასანოს „რომასთან“ კონტრაქტი 2006 წლის 30 ივნისს ეწურება.

**ლადო ხომერიკი**



REUTERS

რენი — მონაკო. პონტუს ფარნერუდმა ეტიენ დიდოს არაფერი დაუთმო

# ლილს აუვარდა, პსჟ-ს კი დაუვარდა

## ბაჭიამ ბადე ჩახია

### საფრანგეთი

**თასის მერვედფინალი**

**ალბი 0:3 სოშო**

0:1 ნდოუ (76), 0:2, 0:3 დუშ სანტუში (81, 87)

**ოსერი 3:2 პსჟ**

0:1 ფანფანი (3), 0:2 რეინალდო (24), 1:2 ბ. კალუ (35), 2:2 მვარუვარი (77), 3:2 აკალე (78)

**ლილი 1:3დ.დ.(1:1) გრენობლი**

1:0 ფოვერჟი (32), 1:1, 1:2 დანიკი (48, 104), 1:3 აკრური (118)

**რენი 0:1დ.დ.(0:0) მონაკო**

0:1 სავიოლა (94)

**ბულონი — ნანტი გადაიდო**

**„პარი სენ ჟერმენი"** პატარა სასწაულების კეთებას აგრძელებს. გასულ უქმეებზე, ხანგრძლივი წარუმატებლობების შემდეგ, პარიზელებმა როგორც იქნა, გაიმარჯვეს და გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახეს — გვეშველა, უიღბლობის სერია წარსულს ჩაბარდაო. ასეც ჩანდა „ოსერთან" გუშინწინდელი სათასო მატჩის დებიუტშიც, მაგრამ...

თამაში წესიერად გახურებულიც არ იყო, რომ პსჟ-ს კაპიტან ჟოზე-პიერ ფანფანის თავურმა მიზანს უწია, ხოლო 24-ე წუთზე რეინალდომ სტუმართა უპირატესობა ორამდე გაზარდა. ამის შემდეგ, ფრთაშესხმული პარიზელები ოდნავ მოდუნდნენ, რისთვისაც მალე დაისაჯნენ კიდეც — პირველი ტაიმის მიწურულს მცველებს ბონავენტურე კალუ გაექცათ, რომელსაც გოლის გატანა არ გასჭირვებია.

მეორე ნახევარი კი უკეთ „ოსერმა" დაიწყო, მაგრამ მასპინძელთა სადებიუტო შტურმს შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა სტუმრებმა ბოლომდე მაინც ვერ გაძლეს, 77-ე წუთზე იმავე კალუს ჩაწოდებულს ზიმბაბველი ფორვარდი, ბენჟამინ მვარუვარი დაუხვდა და წონასწორობა აღადგინა. აქედან 2 წუთში კი კანგა აკალემ მესამედ გაუტანა პსჟ-ს და შეხვედრასაც საბოლოო წერტილი დაუსვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ოსერს" მატჩის მიწურულს, მეოთხე გოლის გატანის ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ მასპინძლებმა პენალტი გააცუდეს, პარიზელებმა კი ბოლო წუთებზე რამდენიმე შანსი გაანიავეს.

„რენი" ორი ლიდერის, ალექსანდრ ფრეისა და ოლივიე მონტერუბიოს გარეშე დაუხვდა „მონაკოს". მიუხედავად ამისა, მასპინძლები მთელი მატჩის მანძილზე საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ, თუმც მცირე უპირატესობას მაინც დიდე დეშანის გუნდი ფლობდა. შეხვედრის ძირითადმა დრომ დაძაბულ ბრძოლაში უგოლოდ ჩაიარა.

საბოლოოდ კი ყველაფერი ხავიერ სავიოლას ბრწყინვალე თამაშმა გადაწყვიტა — დამატებითი დროის მეოთხე წუთზე არგენტინელმა „ბაჭიამ" სათანადო მომენტი დაიჭირა და ახლოდან ჩინებული მაკრატელა დარტყმით „რენის" კარის ბადე კინაღამ გახია.

სენსაციური შედეგით დასრულდა „ლილისა" და ქვედალიგელი „გრენობლის" დაპირისპირება. აშკარაა, კლოდ პუელის შეგირდები საქმეს არასერიოზულად მოეკიდნენ, რაც მეტოქემ ცხადია, არ აპატია. შეხვედრის გმირად სტუმართა ფორვარდი გაელ დანიკი იქცა. ამ უკანასკნელმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, დამატებით დროში კი მეორეც შეაგდო და თავის გუნდს სტუმრად 3:1 გაამარჯვებინა.

გულშემატკივრები ანერვიულა „სოშომ". გი ლაკომბის გუნდი მთელი 70 წუთი უშედეგოდ უტევდა მეოთხე დივიზიონელი „ალბის" კარს, თუმც ბოლომდე გასაძლებად მასპინძლებს გამოცდილება და იღბალი აღარ ეყოთ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# რამ გაამხეცა ბაიერნი?

## პიზარომ ფრაიბურგში პოკერი ითამაშა

### გერმანია

**თასის მეოთხედფინალი**

**ფრაიბურგი 0:7 ბაიერნი**

0:1, 0:2 პიზარო (7, 10), 0:3 ბალაკი (27), 0:4 მაკაი (34), 0:5, 0:6 პიზარო (39, 60), 0:7 ჰაშემიანი (76)

**ფრაიბურგი:** რაინარდი, შუმანი (კაირო 33), ხიზანიშვილი, მოჰამადი, იბერცბერგერი, ბაირამოვიჩი (ბერნერი 63), კონდე, ტანკო, ს. კულიბალი, სანუ, იაშვილი (ანტარი 46)

**მწვრთნელი:** ფოლკერ ფინკე

**ბაიერნი:** კანი (რენსინგი 46), სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი (იერემისი 46), შვაინსტაიგერი, დემიკელისი, დაისლერი, ფრინგსი, ბალაკი, მაკაი (ჰაშემიანი 63), კ. პიზარო

**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი

**გაძევება:** მოჰამადი (45)

**მსაჯი:** კინჰოფერი

25 000 მაყურებელი



REUTERS

როი მაკაი კლაუდიო პიზაროს პოკერს ულოცავს

**საითქმელი** თავიდანვე ვთქვათ და ვინძლო თქვენაც დაგვეთანხმოთ — ის დრო, ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი „ფრაიბურგიდან" იმარგებოდნენ ცოდვა გამხელილი სჯობს და საქართველოს ნაკრების წევრები ასეთ გასაცოდავებულ გუნდში დასარჩენად ნამდვილად არ გვემეტებიან.

რა სჭირს „ფრაიბურგს"? რამ დააბეჩავა ასე? წაგებით — მით უმეტეს წლეულს — გუნდს როგორ არ წაუგია, მაგრამ საშინაო 0:7 დიახაც, რომ დამაფიქრებელია.

მოკლედ, „დრაიზამშტადიონზე" ჩასულმა მიუნხენის „ბაიერნმა" მასპინძლებს რომ იტყვიან, გამარჯობის თქმა არ აცალა და მატჩის ბედი სათავისოდ პირველ 10 წუთში გადაწყვიტა — პერუელმა კლაუდიო პიზარომ ჯერ მე-7 წუთზე მშვენიერი შორეული დარტყმით აიღო რაინარდის კარი, ხოლო სამ წუთში სებასტიან დაისლერის ჩინებულ პასს გამოეხმაურა.

მიუნხენელები არც ამის მერე გაჩერებულან და შესვენებამდე კიდევ სამჯერ გაუტანეს რაინარდს. პიზაროს მესამე გოლამდე თავი მისმა მეწყვილე როი მაკაიმაც გამოიჩინა. ტრავმის მოშუშება გოლით აღნიშნა მიხაელ ბალაკმაც.

გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ხომ გაგიგიათ. ჰოდა, პირველი ნახევრის მიწურულს „ფრაიბურგი" ათი კაცით დარჩა. მცველმა იუსუფ მოჰამადმა როი მაკაის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა და წითელი ბარათი მიიღო.

მეორე ტაიმში კი ფელიქს მაგათის გუნდი შედარებით დამშვიდდა და მხოლოდ 2 გოლი აკმარა. მე-60 წუთზე პიზარომ თავისი მეოთხე გოლი გაიტანა, ბოლოს კი მიუნხენელთა ირანელმა თავდამსხმელმა, ვაჰიდ ჰაშემიანმაც იხეირა. მან მასპინძელთა მცველებს უხეში შეცდომა არ აპატია.

და მაინც, ასე ძალიან რამ გაამხეცა ბუნდესლიგის ლიდერი? ფელიქს მაგათმა ყოველივე ასე ახსნა: „ჩვენ; უბრალოდ ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ."

**გიორგი ქაქაბაძე**

# ქუთაისურმა მდინბურგშიც ჩააღწია

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXVII ტური**

**ჰართსი 1:2 რეინჯერსი**

0:1 ნოვო (49), 1:1 ბერჩილი (87), 1:2 რიკსენი (90+3)

**სელტიკი 3:0 დანდი**

1:0 ს. პეტროვი (49), 2:0, 3:0 ბალდე (60, 87)

**ინვერნესი 3:0 ჰიბერნიანი**

1:0 ხუანხო (39), 2:0 ბრევსტერი (50), 3:0 უილსონი (77)

**ლივინგსტონი 3:1 კილმარნოკი**

0:1 ჯონსტონი (13), 1:1 ჰორვატი (36), 2:1 მაკნამი (64), 3:1 სნოდგრასი (83)

**დანდი იუნ. 1:2 აბერდინი**

0:1 დაიმონდი (9), 0:2 სტიუარტი (45), 1:2 სკოტლენდი (60)

**დანფერმლაინი 0:0 მოზერუელი**



სელტიკი — დანდი. სტუმრები კრის სატონმაც (შუაში) გააწვალა

**„გლაზგო რეინჯერსის"** კაპიტანმა, ფერნანდო რიკსენმა, „ჰართსთან" თამაშის ბოლო წუთზე, მასპინძელთა კარში დანიშნული მეტად საეჭვო პენალტით შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის არყოფნაში, „ჩაფრებს" სამი ქულა მოაპოვებინა.

ბოლო წუთი მართლაც ძალიან ქაოსური გამოდგა. მიზეზი გასაგებია — მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა, რის გამოც მსაჯს, ჰიუ დალასს ედინბურგელთაგან საულიუს მიკალაიუნასის, ხოლო სტუმართაგან დადო პრსოს გაძევება მოუხდა.

თერთმეტმეტრიანის დანიშვნა დალასს თანამსაჯმა ენდი დევისმა უკარნახა და ზემოხსენებული მიკალაიუნასიც სწორედ მას გაექაჩა. რიკსენმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თავის ხელში აყვანის იშვიათი უნარი აქვს.

ანგარიში მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე გასულ ზაფხულს, „დანდისგან" ნაყიდმა რეინჯერსელმა ნაჩო ნოვომ გახსნა. ეს გახლდათ მისი 23-ე წარმატებული დარტყმა მიმდინარე სეზონში. გათანაბრებით კი მასპინძლებმა 87-ე წუთზე გაათანაბრეს — მაკალისტერის ნაცვლად სულ რაღაც ხუთი წუთის შესულმა მარკ ბერჩილმა სწორად დაუმიზნა ბურთი გლაზგოელთა კარს, ხოლო ბოლოს რაც მოხდა, ზემოთაც მოგახსენეთ.

დავძენთ, რომ მომხდარმა ქომაგების გახელება გამოიწვია და თანამსჯს მოედნის დასატოვებლად პოლიციის დახმარება დასჭირდა.

„რეინჯერსის" მდევარმა „სელტიკმა" კი „დანდის" შინ 3:0 მოუგო. ორი გოლი ბობო ბალდემ გაიტანა, ხოლო ერთიც სტილიან პეტროვმა. სამივე გოლი შეხვედრის მეორე ტაიმში გავიდა.

პირველი ტაიმი აშკარად უსულგულო იყო. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ეს გახლდათ შედეგი და გამოძახილი ამასწინანდელ „ოლდ ფირმში" „რეინჯერსთან" დამარცხებისა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „სელტიკი" დაცვაშიც ხშირად ცდებოდა, შესვენების შემდეგ კი უგოლობა პეტროვის თავურმა, დაარღვია — ჯეკი მაკნამარას მარჯვნიდან ჩაწოდებულს ბულგარელმა უკანა ძელთან უწია.

**პაატა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 28 | 22 | 5 | 1 | 60:13 | 71 |
| სელტიკი | 26 | 21 | 2 | 3 | 56:21 | 65 |
| ჰიბერნიანი | 27 | 14 | 5 | 8 | 46:36 | 47 |
| აბერდინი | 27 | 12 | 6 | 9 | 29:26 | 42 |
| ჰართსი | 27 | 11 | 8 | 8 | 31:25 | 41 |
| მოზერუელი | 27 | 10 | 5 | 12 | 32:34 | 35 |
| კილმარნოკი | 28 | 10 | 2 | 16 | 35:49 | 32 |
| ინვერნესი | 26 | 7 | 8 | 11 | 31:36 | 29 |
| დანფერმლაინი | 27 | 6 | 7 | 14 | 24:39 | 25 |
| დანდი | 27 | 6 | 6 | 15 | 28:53 | 24 |
| დანდი იუნ. | 27 | 4 | 10 | 13 | 29:43 | 22 |
| ლივინგსტონი | 27 | 5 | 4 | 18 | 22:48 | 19 |

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XXVI ტური

**ბარსელონა 0:0 ესპანიოლი**

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო 74), ხავი, ხერარდი (ინიესტა 46), დეკო, რონალდინიო, მაქსი ლოპესი (ბელეტი 46), ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ესპანიოლი: კამენი, იბარა, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, ხარკე, იტო, ფრედსონი, მაქსი როდრიგესი (მორალესი 87), დანი (კორო 78), ოსკარ სერანო (დომი 63)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: დავიდ გარსია, დეკო, იტო, ოსკარ სერანო, ლოპო, რონალდინიო
გაძევება: ხარკე (66)
მსაჯი: პერეს ლასა
90 000 მაყურებელი

**რეალი 3:1 ბეტისი**

1:0 ოუენი (9), 2:0 რობერტო კარლოსი (40), 2:1 ედუ (59), 3:1 ელგერა (61)
რეალი: კასილიასი (სესარი 53), რაულ ბრავო, ი. ელგერა, ვ. სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი (ბორხა 88), გრავესენი, სოლარი (გუტი 62), რონალდო, ოუენი
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
ბეტისი: დობლასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ვარელა, მელი, არზუ (დენილსონი 66), ხოაკინი, ბენხამინი, პაბლო ნინიო, რ. ოლივეირა, ედუ
მწვრთნელი: ლორენს ხერა ფერერი
გაფრთხილება: რაულ ბრავო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
50 000 მაყურებელი

**სევილია 2:2 ვალენსია**

1:0 ხესული (40), 1:1 დავიდ ნავარო (44), 1:2 აიმარი (61), 2:2 ბაპტისტა (66)
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, სერხიო რამოსი (ნ. არანდა 65), აიტორ ოსიო, დანიელ ალვესი, ბაპტისტა, რენატო, ხესული (პუერტა 70), ხორდი, ანტონიტო (დარიო სილვა 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ვალენსია: პალოპი, ფ. აურელიო (ხისკო 68), რ. აიალა, მ. კანეირა (მორეტი 8), კარბონი, დავიდ ნავარო, ალბელდა, სისოკო, რუფეტე, აიმარი, მისტა (დი ვაიო 69)
მწვრთნელი: ანტონიო ლოპესი
გაფრთხილება: დავიდ ნავარო, არანდა, დანიელ ალვესი, აიმარი, მორეტი, ხორდი
მსაჯი: მეხია დავილა
29 000 მაყურებელი

**ხეტაფე 1:1 დეპორტივო**

0:1 ტრისტანი (41), 1:1 გაბი (72)
ხეტაფე: არაგონესესი, მ. პერნია (მედინა 83), ნანო, ბელენგერი, დ. რივასი (კომე 43), გაბი, რ. ალბიოლი, ვივარ დორადო, მარიო კოტელო, კრაიოვიანუ (იორდი 80), რიკი
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
დეპორტივო: მუნუა, კაპდევილა, პაბლო ამო, კოლოჩინი, დუშერი, სერხიო, სკალონი, ვიქტორი (მუნიტისი 76), ვალერონი (მაურო სილვა 82), ტრისტანი, ლუკე (ფრანი 63)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: რივასი, ლუკე, დუშერი, ტრისტანი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
10 000 მაყურებელი

**რასინგი 2:1 ატლეტიკო**

0:1 ტორესი (11პ), 1:1 რეგუერო (38), 2:1 აგანსო (50)
რასინგი: ააუატე, კასარი, მორატიონი, ხუანმა, რეგრაგი, მორანი, რეგუერო, ანდერსონი, დ. აგანსო (ხუან ვალე 76), ხავი გერერო (ტორადო 86), ბენაიუნი
მწვრთნელი: ნანდო იოსუ

# რეალმა, რა თქმა უნდა, ისარგებლა

## მეკარე, ბურთს ხელში რა უნდა?


REUTERS მაფოტოდან

რეალი — ბეტისი. მაიკლ ოუენმა სევილიელთა მეკარე ტონი დობლასი ერთხელ დაამწუხრა

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ანტონიო ლოპესი, გარსია კალვო (რ. ნუნიესი 71), პერეა, პაბლო, მოლინერო (ნანო 46), მარსელო სოსა, გრონკიაერი, იბაგასა (სალვა 46), ფ. ტორესი
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: კასარი, მარსელო სოსა, ანდერსონი, რეგუერო, აგანსო, პერეა, ხუანმა, რეგრაგი, ნანო, ტორადო, პაბლო
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
8 000 მაყურებელი

**მალაგა 1:0 ბილბაო**

1:0 ხუან როდრიგესი (2)
მალაგა: არნაუ, ხუანიტო, ვალკარსე, ფერნანდო სანსი, კ. ნავასი, ხერარდო, მ. რომერო, დუდა (ამოროზო 59), მიგელ ანხელი (ედგარი 84), ხუან როდრიგესი, ფერნანდო (ისნატა 59)
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
ბილბაო: არანსუბია, კასასი, ლაკრუსი, ორბაისი, მურილიო, ირაოლა, გურპეგი, ხონანი (იულენ გერერო 46), ტიკო (ხავი გონსალესი 35), ეჩებერია, ლორენტე (ურსაისი 56)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: გურპეგი, მურილიო, რომერო, ხერარდო
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
9 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 2:1 მალიორკა**

0:1 ხავი ვენტა (15ს.კ.), 1:1 ფიგეროა (62), 2:1 ფორლანი (83)
ვილიარეალი: რეინა, გონსალო, არუაბარენა, სორინი (ხოსიკო 55), ხავი ვენტა, რიკელმე, მარკოს სენა, ფორლანი (არზო 87), გიარე, ხოსე მარი (ფიგეროა 55)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
მალიორკა: მოია, იულიანო (დავიდ კორტესი 32), ივან რამისი, პოლი, ბალესტეროსი, დე ლოს სანტოსი, კამპანო (ხორხე ლოპესი 70), ფარინოსი, არანგო, ლუის გარსია, რომეო (ოკუბო 77)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ფარინოსი, ბალესტეროსი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
6 000 მაყურებელი

**სოსიედადი 2:1 სარაგოსა**

0:1 საპატერი (32), 1:1 კარპინი (44პ), 2:1 ბარკერო (74)
სოსიედადი: რიესგო, როსატო, ლუის ალბერტო, ლაბაკა, ლოპეს რეკარტე, კარპინი, არანბურუ, მიკელ ალონსო (მლადენოვიჩი 66), პრიეტო (ბარკერო 59), გარი ურანგა, დე პაულა (დომინგესი 87)
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
სარაგოსა: ლუისი, არანსაბალი, ალვარო, გ. მილიტო, გალეტი (ჩანი 71), სავიო, პონციო, მოვილია (ოსკარი 76), ხენერელო (სორიანო 69), საპატერი, ვილა
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: საპატერი, მილიტო, საპატერი, ლუის ალბერტო, დე პაულა, მოვილია, ლოპეს რეკარტე
გაძევება: საპატერი (48)
მსაჯი: რამირეს დომინგესი
9 000 მაყურებელი

**ალბასეტე 1:1 ოსასუნა**

0:1 ჩენგე მორალესი (68), 1:1 პაჩეკო (82პ)
ალბასეტე: ვალბუენა, ოსკარ მონტიელი, გასპარი, პაკო პენია, ბუადესი, ვიაუდი, დავიდ სანჩესი, ფრანსისკო (ხ. რედონდო 83), მარკ გონსალესი (მიკელი 57), პაჩეკო, პერალტა (რუბენ კასტრო 74)
მწვრთნელი: მარტინ მონტეაგუდო
ოსასუნა: ელია, კლავერო, კუელიარი, მიგელ ფლანიო, ექსპოზიტო, პაბლო გარსია, ორტისი (დავიდ ლოპესი 88), პუნიალი, დელპორტი, მილოშევიჩი (ჩენგე მორალესი 54), ალოიზი (მუნიოსი 80)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: მიგელ ფლანიო, ალოიზი, გასპარი, ორტისი, პუნიალი
მსაჯი: ველასკო კარბალიო
7 000 მაყურებელი

**ლევანტე 1:1 ნუმანსია**

0:1 გრაფი (21), 1:1 ეტიენი (40)
ლევანტე: მორა, ალექსისი, პინილიოსი, ხესულე, კულებრასი, ეტიენი, რივერა, ხოფრე (კონგო 88), ტიტო (კამაჩო 68), სერხიო გარსია, მანჩევი (რეგი 74)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
ნუმანსია: ხუანმა, გრაფი (პალასიოსი 62), პინიოლი, ოჩოა, ველასკო, ტარანტინო, ხუან პაბლო, მერინო (პულპო გონსალესი 79), ხუანლუ, როსი (ანტონიო 87), მიგელი
მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი
გაფრთხილება: ხუანმა, ტარანტინო, პინილიოსი, პინიოლი
მსაჯი: პერეს ბურული
7 000 მაყურებელი

**სამშაბათის** მატჩში „ბარსელონამ“ უდიდესი უპირატესობისა და ბრწყინვალე მომენტების მიუხედავად, მოგეხსენებათ, თანაქალაქელი „ესპანიოლი“ კატალონიურ დერბიში ვერ დაამარცხა. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ მეორე დღეს მოთამაშე „რეალმა“ წინასწარ იცოდა — ლიდერთან სხვაობის კიდევ ორი ქულით შემცირების შანსი რომ ჰქონდა. ხოლო ეს გარემო[illegible] ვის მხრივ გვაფიქრებინებდა, რომ [illegible] დედაქალაქელები „[illegible]“ [illegible] სამარცხებლად თავს დადებდნენ.

ასეც მოხდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად და პირველ ტაიმში უკეთესად სევილიელები ირჯებოდნენ. თითქოს უცნაურია ამას რომ ვამბობთ, რაკი „რეალმა“ პირველი ტაიმი 2:0 მოიგო, მაგრამ ფაქტია — უკეთესი შთბეჭდილება „ბეტისმა“ დატოვა, გოლები კი მასპინძლებმა გაიტანეს: მაიკლ ოუენმა სამი მცველის გარემოცვაში წაქცეულმა შეძლო ბურთისთვის ფეხის მირტყმა, მეორე გოლი კი „ბეტისის“ მეკარის სინდისზეა. მან მცველისგან დაგორებული ბურთი მოგერიების მაგიერ რატომღაც ხელში აილო და კარიდან 6-7 მეტრში თავისუფალი დარტყმა დაინიშნა. ოდნავ დაგორებულ ბურთს კი რობერტო კარლოსმა ისე საშინლად დასცხო, ლამის ბადე გახია. მოგეხსენებათ, ბრაზილიელი კარის ბადეებს შორიდან ხევს და ასე ახლოდან, აბა, რაღას იზამდა. ამასთანავე დავძინოთ, რომ ეს მატჩი რობერტო კარლოსისთვის მესამასე მადრიდული იყო და რაულის არყოფნაში „რეალს“ კაპიტნობდა კიდეც.

შესვენების მერე მეტოქეებმა თითო გოლიც გაიტანეს და თამაშიც ამით დასრულდა. ამრიგად, ახლა „რეალი“ „ბარსას“ კიდევ ერთ წაფორხილებას ელოდება, მერე კი სუპერკლასიკოშიც იქნებ დაამარცხა...

მესამეადგილოსნობისთვის, „სევილიასა“ და „ვალენსიას“ ჭიდილში გამარჯვება „ვილიარეალს“ დარჩა. ვილიარეალელები ხავი ვენტას ავტოგოლით აგებდნენ გასავარდნად გამზადებულ „მალიორკასთან“, მაგრამ ბოლოსკენ ძალა მოიკრიფეს და მიჯრით მესამე თამაში მოიგეს. გამარჯვების გოლი ურუგვაელმა დიეგო ფორლანმა შეაგდო, რომლისთვისაც ეს მე-16 ბურთი იყო ამ სეზონში.

არადა, „სევილიას“ დიდებული შანსი ჰქონდა მესამე ადგილზე დარჩენისა. 84-ე წუთზე ჟულიო ბაპტისტამ პენალტი გააფუჭა, ბურთი კარს ააცილა. იქამდე კი, ბაპტისტას უკვე ჰქონდა ერთი უნაღდო გატანილი „ვალენსიასთვის“. აცილებული პენალტის მერე, ბოლო წუთზე, ვალენსიელმა ხისკომ გაიტანა, მაგრამ ეს გოლი მსაჯმა არ ჩათვალა, რადგან გოლამდე ჯარიმა შენიშნა. ასე რომ, მძიმეწონოსანთა მატჩი ფრედ დასრულდა, რამეთუ, როგორც მოგეხსენებათ, „ვილიარეალმა“ ისარგებლა და ორივეს გადაუსწრო.

| 11013 | ევერტონი-ბლექბერნი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11014 | სიტი-ბოლტონი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11096 | გლადბახი-ვოლფსბურგი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11097 | მაინცი-ფრაიბურგი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11098 | შტუტგარტი-არმინია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11100 | ჰანოვერი-ჰანზა | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11101 | ბოხუმი-შალკე | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11103 | ბაიერნი-ვერდერი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11164 | ატალანტა-მილანი | 11.0 | 11.0 | 20.0 | 12.0 | 5.0 | 3.5 | 25.0 | 12.0 | 1.9 |
| 11165 | რომა-იუვენტუსი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11166 | სიენა-ბრეშა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11167 | მესინა-ლაციო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11168 | პარმა-კალიარი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11169 | უდინეზე-ბოლონია | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11170 | სამპდორია-კიევო | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11171 | ფიორენტინა-რეჯინა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11172 | ინტერი-ლეჩე | 1.9 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11174 | ლივორნო-პალერმო | 3.9 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11216 | მალიორკა-სოსიედადი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11218 | სარაგოსა-რასინგი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11219 | ვალენსია-რეალი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11220 | ოსასუნა-ბარსელონა | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11221 | ბილბაო-ალბასეტე | 2.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11222 | ატლეტიკო-სევილია | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11223 | ბეტისი-ხეტაფე | 2.2 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11224 | დეპორტივო-მალაგა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11225 | ესპანიოლი-ლევანტე | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13003 | კრისტალ პალასი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13005 | არსენალი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13008 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | ფულემი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13010 | ნორვიჩი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13012 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 1.7 | 1.9 |
| 13013 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13014 | სიტი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13096 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.6 | 2.0 |
| 13097 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.6 | 2.0 |
| 13098 | შტუტგარტი-არმინია | 1.7 | 1.9 |
| 13099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.5 | 2.3 |
| 13100 | ჰანოვერი-ჰანზა | 1.6 | 2.0 |
| 13101 | ბოხუმი-შალკე | 1.55 | 2.1 |
| 13103 | ბაიერნი-ვერდერი | 1.6 | 2.1 |
| 13104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1.7 | 1.9 |
| 13105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.5 | 2.3 |
| 13164 | ატალანტა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13165 | რომა-იუვენტუსი | 1.6 | 2.0 |
| 13166 | სიენა-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13167 | მესინა-ლაციო | 1.6 | 2.0 |
| 13168 | პარმა-კალიარი | 1.6 | 2.0 |
| 13169 | უდინეზე-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 13170 | სამპდორია-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 13172 | ინტერი-ლეჩე | 1.55 | 2.2 |
| 13174 | ლივორნო-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13216 | მალიორკა-სოსიედადი | 1.6 | 2.0 |
| 13217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13218 | სარაგოსა-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 13219 | ვალენსია-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13220 | ოსასუნა-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13221 | ბილბაო-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13222 | ატლეტიკო-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 13223 | ბეტისი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13224 | დეპორტივო-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13225 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 14003 | კრისტალ პალასი-მანჩესტერი | 2.4 | 1.45 |
| 14005 | არსენალი-პორტსმუთი | 1.08 | 2.9 |
| 14007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.9 | 1.9 |
| 14008 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14009 | ფულემი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14010 | ნორვიჩი-ჩელსი | 2.5 | 1.3 |
| 14012 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 1.9 | 1.9 |
| 14013 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.45 | 2.4 |
| 14014 | სიტი-ბოლტონი | 1.8 | 2.0 |
| 14096 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.7 | 2.2 |
| 14097 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.7 | 2.2 |
| 14098 | შტუტგარტი-არმინია | 1.3 | 2.5 |
| 14099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.8 | 2.0 |
| 14100 | ჰანოვერი-ჰანზა | 1.3 | 2.5 |
| 14101 | ბოხუმი-შალკე | 2.1 | 1.75 |
| 14103 | ბაიერნი-ვერდერი | 1.45 | 2.4 |
| 14104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1.45 | 2.4 |
| 14105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.9 | 1.9 |
| 14164 | ატალანტა-მილანი | 2.6 | 1.2 |
| 14165 | რომა-იუვენტუსი | 1.9 | 1.9 |
| 14166 | სიენა-ბრეშა | 1.7 | 2.2 |
| 14167 | მესინა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 14168 | პარმა-კალიარი | 1.7 | 2.2 |
| 14169 | უდინეზე-ბოლონია | 1.65 | 2.3 |
| 14170 | სამპდორია-კიევო | 1.3 | 2.5 |
| 14171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.7 | 2.2 |
| 14172 | ინტერი-ლეჩე | 1.08 | 2.9 |
| 14174 | ლივორნო-პალერმო | 1.9 | 1.9 |
| 14216 | მალიორკა-სოსიედადი | 1.8 | 2.0 |
| 14217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 2.1 | 1.7 |
| 14218 | სარაგოსა-რასინგი | 1.65 | 2.3 |
| 14219 | ვალენსია-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 14220 | ოსასუნა-ბარსელონა | 2.4 | 1.45 |
| 14221 | ბილბაო-ალბასეტე | 1.3 | 2.5 |
| 14222 | ატლეტიკო-სევილია | 1.75 | 2.1 |
| 14223 | ბეტისი-ხეტაფე | 1.3 | 2.5 |
| 14224 | დეპორტივო-მალაგა | 1.45 | 2.4 |
| 14225 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.45 | 2.4 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | კრ. პალასი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | არსენალი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | ნიუკასლი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | ფულემი-ჩარლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | ნორვიჩი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15012 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15013 | ევერტონი-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15014 | სიტი-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15096 | გლადბახი-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15097 | მაინცი-ფრაიბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15098 | შტუტგარტი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15100 | ჰანოვერი-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15101 | ბოხუმი-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | ბაიერნი-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15164 | ატალანტა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15165 | რომა-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15166 | სიენა-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15167 | მესინა-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15168 | პარმა-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15169 | უდინეზე-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15170 | სამპდორია-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15171 | ფიორენტინა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15172 | ინტერი-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15174 | ლივორნო-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15216 | მალიორკა-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15218 | სარაგოსა-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15219 | ვალენსია-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15220 | ოსასუნა-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15221 | ბილბაო-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15222 | ატლეტიკო-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15223 | ბეტისი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15224 | დეპორტივო-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15225 | ესპანიოლი-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12002 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.6 | 2.0 |
| 12003 | კრისტალ პალასი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 12005 | არსენალი-პორტსმუთი | 1.9 | 1.7 |
| 12007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12008 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1.6 | 2.0 |
| 12009 | ფულემი-ჩარლტონი | 1.6 | 2.0 |
| 12010 | ნორვიჩი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12012 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 1.6 | 2.0 |
| 12013 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.6 | 2.0 |
| 12014 | სიტი-ბოლტონი | 1.6 | 2.0 |
| 12096 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12097 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.9 | 1.7 |
| 12098 | შტუტგარტი-არმინია | 2.0 | 1.6 |
| 12099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2.1 | 1.55 |
| 12100 | ჰანოვერი-ჰანზა | 1.9 | 1.7 |
| 12101 | ბოხუმი-შალკე | 2.0 | 1.6 |
| 12103 | ბაიერნი-ვერდერი | 2.0 | 1.6 |
| 12104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 2.0 | 1.6 |
| 12105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 2.0 | 1.6 |
| 12164 | ატალანტა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12165 | რომა-იუვენტუსი | 1.9 | 1.7 |
| 12166 | სიენა-ბრეშა | 1.6 | 2.0 |
| 12167 | მესინა-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12168 | პარმა-კალიარი | 1.8 | 1.85 |
| 12169 | უდინეზე-ბოლონია | 1.6 | 2.0 |
| 12170 | სამპდორია-კიევო | 1.6 | 2.0 |
| 12171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 12172 | ინტერი-ლეჩე | 2.1 | 1.55 |
| 12174 | ლივორნო-პალერმო | 1.6 | 2.0 |
| 12216 | მალიორკა-სოსიედადი | 1.6 | 2.0 |
| 12217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 1.6 | 2.0 |
| 12218 | სარაგოსა-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 12219 | ვალენსია-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 12220 | ოსასუნა-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 12221 | ბილბაო-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 12222 | ატლეტიკო-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 12223 | ბეტისი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12224 | დეპორტივო-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 12225 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.7 | 1.9 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.55 | 2.1 |
| 16003 | კრისტალ პალასი-მანჩესტერი | 3.5 | 1.2 |
| 16005 | არსენალი-პორტსმუთი | 1.06 | 5.25 |
| 16007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.6 | 1.9 |
| 16008 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1.65 | 1.9 |
| 16009 | ფულემი-ჩარლტონი | 1.65 | 1.9 |
| 16010 | ნორვიჩი-ჩელსი | 4.0 | 1.15 |
| 16012 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 1.7 | 1.8 |
| 16013 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.25 | 2.8 |
| 16014 | სიტი-ბოლტონი | 1.5 | 2.2 |
| 16096 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.4 | 2.4 |
| 16097 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.35 | 2.5 |
| 16098 | შტუტგარტი-არმინია | 1.2 | 3.55 |
| 16099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.55 | 2.1 |
| 16100 | ჰანოვერი-ჰანზა | 1.25 | 2.9 |
| 16101 | ბოხუმი-შალკე | 2.2 | 1.5 |
| 16103 | ბაიერნი-ვერდერი | 1.3 | 2.9 |
| 16104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1.25 | 2.9 |
| 16105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.75 | 1.8 |
| 16164 | ატალანტა-მილანი | 4.0 | 1.15 |
| 16165 | რომა-იუვენტუსი | 1.8 | 1.7 |
| 16166 | სიენა-ბრეშა | 1.35 | 2.6 |
| 16167 | მესინა-ლაციო | 1.55 | 2.15 |
| 16168 | პარმა-კალიარი | 1.3 | 2.8 |
| 16169 | უდინეზე-ბოლონია | 1.3 | 2.8 |
| 16170 | სამპდორია-კიევო | 1.2 | 3.5 |
| 16171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.35 | 2.65 |
| 16172 | ინტერი-ლეჩე | 1.07 | 4.9 |
| 16174 | ლივორნო-პალერმო | 1.7 | 1.8 |
| 16216 | მალიორკა-სოსიედადი | 1.65 | 2.2 |
| 16217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 1.9 | 1.8 |
| 16218 | სარაგოსა-რასინგი | 1.25 | 3.5 |
| 16219 | ვალენსია-რეალი | 1.7 | 1.8 |
| 16220 | ოსასუნა-ბარსელონა | 3.7 | 1.25 |
| 16221 | ბილბაო-ალბასეტე | 1.15 | 5.0 |
| 16222 | ატლეტიკო-სევილია | 1.55 | 2.35 |
| 16223 | ბეტისი-ხეტაფე | 1.15 | 5.0 |
| 16224 | დეპორტივო-მალაგა | 1.25 | 3.7 |
| 16225 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.25 | 3.7 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17002 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17003 | კრისტალ პალასი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | არსენალი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17008 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ფულემი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ნორვიჩი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | სიტი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | შტუტგარტი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ჰანოვერი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ბოხუმი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ბაიერნი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ატალანტა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | რომა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17166 | სიენა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17167 | მესინა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17168 | პარმა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | უდინეზე-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17170 | სამპდორია-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ინტერი-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ლივორნო-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17216 | მალიორკა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17218 | სარაგოსა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ვალენსია-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | ოსასუნა-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ბილბაო-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17222 | ატლეტიკო-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17223 | ბეტისი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17224 | დეპორტივო-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17225 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.85 | 1.95 |



ჯამლეტ ხუხაშვილს „მაკაბ"-„ავიამშენის" ნაზავი კიევურ ტურნირზე მიჰყავს

# აშენებული მაკაბი ვეება თასს შეიზნებს

## კიევში ქართულ-უკრაინული ძმობისას ითამაშებენ

**დღეს თბილისის „მაკაბი" კიევში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ ტურნირზე მიემგზავრება. მოგეხსენებათ, ამ დღეებში უკრაინას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სტუმრობს, სადაც ქართული კულტურის დღეები მიმდინარეობს. ოღონდ ამ ამბებთან არანაირი კავშირი არა აქვს საკალათბურთო შეჯიბრს. კიევის ოთხთა ტურნირი ტრადიციულია და წლეულს უკვე მეოთხედ ტარდება. „მაკაბი" უკრაინაში გაძლიერებული შემადგენლობით მიემგზავრება, რადგანაც ტურნირში ისეთი ძლიერი გუნდი მონაწილეობს, როგორიც „ბკ კიევია". ჯამლეტ ხუხაშვილის განკარგულებაში ხუთი მაკაბელი და ხუთი ავიამშენელი იქნება, ტურნირი კი ამ შაბათ-კვირას ჩათამაშდება...**

— ესაა უკრაინაში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებული ტურნირი, რომელიც წლეულს მეოთხედ იმართება. მასში საქართველოდან „მაკაბი" მონაწილეობს, თუმც გარკვეული მიზეზების გამო შარშან ეს შეჯიბრი არ ჩატარებულა — გვითხრა ჯამლეტ ხუხაშვილმა.

— რატომ მაინცდამაინც „მაკაბი"?

— ამ ტურნირის ორგანიზატორი საქართველოს საელჩოსთან ერთად „მაკაბიცაა". უკრაინაში ჩვენი ელჩი გია ქათამაძე ჩემი ახლობელია და ამ შეჯიბრის ორგანიზებაშიც დიდ დახმარებას გვიწევს.

— „მაკაბის" გარდა ვინ მონაწილეობს?

— უკრაინული გუნდები, რომელთაგან გამოსარჩევი, რა თქმა უნდა, „ბკ კიევია". შაბათს გაიმართება ნახევარფინალები და კვირას ფინალი მესამე ადგილისთვის მატჩთან ერთად. ჩვენი მეტოქე პირველი ლიგის ლიდერი კიევის მსუბუქი მრეწველობის გუნდი იქნება და თუ გავიმარჯვებთ, ფინალში სავარაუდოდ „ბკ კიევის" შევხვდებით, რომელსაც ნახევარფინალის მოგება ალბათ არ გაუჭირდება.

— „ბკ კიევი" ევროპული დონის გუნდია და უკრაინის ჩემპიონატშიც ლიდერობს. თუ ფინალში გახვედით, ეს გუნდი ალბათ დიდი ანგარიშით მოგიგებთ...

— ამიტომაც გაძლიერებული შემადგენლობით მივდივართ. უფრო სწორად, ორი გუნდია გაერთიანებული, 5 მაკაბელი და 5 ავიამშენელი. გუნდი „მაკაბის" სახელით გამოვა. ჩვენს დამწყებ ხუთეულს დავით ბერძენიშვილი, თორნიკე ნინიაშვილი, დავით დოლიძე, გოჩა წოწელია და გიორგი ნიკოლაძე დაემატებიან „ავიამშენიდან".

— **წარმატების იმედი თუ გაქვთ?**

— რა თქმა უნდა, გვაქვს, თუმცა გამარჯვება ხომ არაა მთავარი. ამ ტურნირს წლეულს არაოფიციალურად საქართველოსა და უკრაინის მეგობრების სახელი დაერქვა და მისი მოგებას დიდი პრინციპული მნიშვნელობა არ ექნება. ისე, გამარჯვებულს ისეთი ჯილდო ელის, ყველა ძალიან მონდომებული იქნება. გია ქათამაძემ სპეციალურად იმხელა თასი დაამზადებინა, რომლის ანალოგიც არ არსებობს. ესაა უზარმაზარი თასი და მისი აწევა ერთ კაცს გაუჭირდება.. მინდა მადლობა ვუთხრა უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ ხრამავს, რომელმაც, მიუხედავად ჩემპიონატის ტურისა, მაინც მოახერხა ამ ტურნირის შაბათ-კვირას ჩატარება.

**ირაკლი ბერტაია**

**საქართველოს ჩემპიონატი**

3 მარტი. ვერის ბაღი

**მაკაბი 103:94 სსუ**

ძირითადი დრო 84:84

3 მარტი. თელავი

**ბურჯი 61:105 ავიამშენი**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბებერი ვებერი სიქსერზის ჯებირი

— 2 მარტი —

**მინესოტა 93:99 გოლდენ სტეიტი**
**მინესოტა:** გარნეტი (28 ქულა, 13 მოხსნა), ჰადსონი (17), სპრიუელი (15)
**გოლდენ სტეიტი:** ფიშერი (23), რიჩარდსონი (21), დანლივი (19)
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**სან ანტონიო 92:86 ტორონტო**
**სან ანტონიო:** ჯინობილი (17), პარკერი (15), დანკანი (13 ქულა, 11 მოხსნა)
**ტორონტო:** ბოში (16), როუზი (15), ალსტონი (15)

**ნიუ ორლეანი 94:85 შარლოტი**
**ნიუ ორლეანი:** დიკაუ (18), სმიტი (17)
**შარლოტი:** ოკაფორი (18), ნაითი (16)

**იუტა 96:74 ატლანტა**
**იუტა:** ოქური (19), ბელი (17), კირილენკო (14)
**ატლანტა:** ჩილდრესი (21)

**კლიპერსი 101:92 დალასი**
**კლიპერსი:** მეჯიტი (34), ბრენდი (19 ქულა, 10 მოხსნა), საიმონსი (19)
**დალასი:** ნოვიცკი (25), ჰოვარდი (16)

**ფილადელფია 93:99 ნიუ ჯერსი**
**ფილადელფია:** აივერსონი (37), ჯექსონი (14)
**ნიუ ჯერსი:** კარტერი (32), რობინსონი (18), კიდი (15)

**ვაშინგტონი 101:98 ჰიუსტონი**
**ვაშინგტონი:** არენასი (33), ჰიუზი (31)
**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (26 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ჯეიმსი (24)

**ორლანდო 114:111 საკრამენტო**
**ორლანდო:** ფრენსისი (29 ქულა, 10 პასი), ჰოვარდი (20 ქულა, 16 მოხსნა), ჰილი (20)
**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (28), ბიბი (26 ქულა, 10 პასი)

**კლივლენდი 86:103 სიეტლი**
**კლივლენდი:** ჯეიმსი (32), ილგაუსკასი (17), მაკინისი (16)
**სიეტლი:** ალენი (31), ლუისი (20), რადმანოვიჩი (19)

**ბოსტონი 104:101 ლეიკერსი**
**ბოსტონი:** პირსი (29 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), დევისი (29), უოლკერი (16 ქულა, 13 მოხსნა)
**ლეიკერსი:** ეტკინსი (29), ბრაიანტი (26)

მძიმედ მიდის კრის ვებერის ახალ თანაგუნდელებთან შეთამაშების პროცესი. „საკრამენტოს" ყოფილი ლიდერი ჯერ ვერ მოერგო „ფილადელფიას" და სანამ მისთვის პრობლემაა 20 ქულის მოგროვება, „სიქსერზს" მოგებები გაუჭირდება. „ნიუ ჯერსისთან" შეხვედრაში ვებერმა კადნიერება გამოიჩინა და 18-ჯერ ისროლა ბურთი, თუმც აქედან მხოლოდ 4 ჩააგდო და შეხვედრა ოდენ 10 ქულით დაასრულა ხოლო როცა ერთი მოთამაშე ამდენ სროლას აფუჭებს და ასე და ამგვარად ჩუქნის ბურთს მოწინააღმდეგეს, ამით საკუთარ გუნდის წისქვილზე ნაღდად არ დაასხამს წყალს.



კრის ვებერი

„ფილადელფიას" ვერც ალენ აივერსონმა უშველა, ვინაც „მილუოკისთან" 48-ქულიანი შეხვედრის შემდეგ ახლა ოდნავ ნაკლები, მაგრამ საერთო საზომით მაინც ბევრი — 37 ქულა მოიხვეჭა. ვებერმა მასაც და სხვა ფილადელფიელებსაც გარჯა წყალში ჩაუყარა. ამ გუნდის შეფები ჯერ კი დუმან, მაგრამ ვინ იცის, გულში ნანობენ, „საკრამენტოს" ვაჭრობა-გაცვლაში რომ აჰყვნენ და ასაკშეპარული ვებერის სახელით და ძველი დიდებით მოტყუვდნენ.

სამაგიეროდ, სულ არ ნანობენ ნიუჯერსელები, რომლებმაც ჯერ კიდევ დეკემბერში „ტორონტოდან" ვინს კარტერი გადაიყვანეს და ეულად დარჩენილ ვარსკვლავ ჯეისონ კიდს შეუწყვილეს. „ნიუ ჯერსიში" 33-ე თამაშში კარტერი მეთორმეტედ გადაევლო 30-ქულიან თამასას და „ნეთსს" ზედიზედ მესამედ მოაგებინა. თუ ზემოხსენებულმა ვებერმა არ მოუმატა, ხოლო კარტერმა არ მოუკლო, „ნიუ ჯერსი" ადრე თუ გვიან გადაასწრებს ატლანტას დივიზიონში მეორე საფეხურზე ჩასაფრებულ „ფილადელფიას" და პირველობას „ბოსტონს" შეუტევს.

თივაზე დაბმული იმ ავი ძაღლისა რა მოგახსენოთ, არც თავად რომ ჭამს და არც სხვას აკარებს ზვინს, მაგრამ ვებერმა ვერც „ფილადელფია" ახეირა და მისი წასვლა არც „საკრამენტოს" მოუხდა. წააგეს „მეფეებმაც", თუმც კი მათ ჯერ მთლად თავში საცემად არა აქვთ საქმე, წაგების მიზეზიც მოეძევებათ — სტოიაკოვიჩს ბოლო წამზე სამქულიანი რომ ჩაეგდო, შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდოდა და იქნებ იქ მოგვეგო, ხოლო სტოიაკოვიჩმა ბურთი რომ ააცილა, ეს სრულიადაც არ ამტკიცებს ჩვენს დასუსტებას — აი, ასე იმართლებენ თავს.

ასეა თუ ისე, „საკრამენტომ" ზედიზედ მეორედ, ბოლო 10 შეხვედრაში კი მეექვსედ დათმო.

ამ რამდენიმე დღის წინ, დედლაინზე ბევრი ხმაურიანი გაცვლა-გამოცვლა მოხდა და კიდევ ერთ მათგანს დავუბრუნდეთ — „ბოსტონმა" „ატლანტასგან" 206-სანტიმეტრიანი მძიმე ფორვარდი ანტუან უოლკერი დაიბრუნა და ეს ზარბაზანი კვლავ პოლ პირსს შეუწყვილა. ჩანს, ბოსტონელებს ის დრო გაახსენდათ, პირს-უოლკერის დუეტის წყვილად ჩაუქრობის დროს ნაკლებად რომ უჭირდათ და 2002 წელს პლეი ოფში აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალსაც რომ უწიეს. მერე რატომღაც „სელტიქსის" ერთ-ერთმა მთავარმა მწვრთნელმა — ბევრი კი გამოიცვალა ამ კლუბმა — უოლკერი აითვალისწუნა და ესეც ჯერ „დალასში" აღმოჩნდა, იქიდან კი „ატლანტაში" გადაბარგდა.

ახლა უოლკერს თავის ძველ-ახალ გუნდში მეორე დებიუტი ჰქონდა 1996 წლის შემდეგ. მან პირსსა და სხვა თანაგუნდელებს, რომელთაგან ბევრს აღარც იცნობს, 16 ქულა და 13 მოხსნა მიაშველა და „სელტიქსმაც" 114:111 დასცა ისტორიული მტერი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი".

„ლეიკერსი" ვერ ახეირა სასამართლოში ისევ დაბარებულმა და თამაშზე იქიდან წასულმა კობი ბრაიანტმა, რომელმაც მართალია, პირველ მეოთხედში 17 ქულა გაჩარხა, მერე ბევრიც ვერაფერი შეაწია თავისიანებს.

უოლკერის ყოფილმა გუნდმა „ატლანტამ" კი ზედიზე მეათედ წააგო და ასოციაციის უარესი გუნდის სტატუსი განიმტკიცა.

# მე შენ მიყვარდი...

## მო ჩიქსს პორტლენდი ჩამოართვეს

**კიდევ** ერთმა მწვრთნელმა დაკარგა სამუშაო: პორტლენდში ყველას უყვარდა მორის ჩიქსი, შეგირდებსაც და გულშემატკივრებსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ახლობლებზე და ოჯახის წევრებზე, მაგრამ მისი „თრეილ ბლეიზერსი" გამუდმებით აგებდა და კლუბის შეფებიც მო ჩიქსს მიადგნენ. ეს ამ ოთხშაბათს მოხდა.

„საზიზღარი დღეა, იმიტომ, რომ მე მიყვარდა ჩემი მოთამაშეები და ჩემი გუნდიც..." პრესკონფერენციაზე ჩიქსს ხმა აუკანკალდა და სათქმელიც ველარ ჩაამთავრა. იგი 2001 წლიდან თავკაცობდა „პორტლენდს" და სამნახევარ სეზონში 162 გამარჯვება და 139 მარცხი მოაგროვა. თავიდან მშვენივრად მისდიოდა საქმე, მაგრამ 2003-2004 წლების რეგულარული ჩემპიონატი 41-41 მოგება-წაგებით დაასრულა და „პორტლენდმაც" ბოლო 22 წელიწადში პირველად გამოტოვა პლეი ოფი. ეს კი აპატიეს, მაგრამ წლეულს კიდევ უარესად მისდის ყველაფერი — 22 გამარჯვება 33 მარცხის წილ და მე-12 ადგილი დასავლეთში. ეს საკმარისი მიზეზია, რომ კლუბის გამრიგეებმა მწვრთნელის შეცვლაზე იფიქრონ, თუნდაც ეს რედ აუერბახი ან ფილ ჯექსონი იყოს.

ჩიქსის ადგილს დროებით დაიჭერს კლუბის დირექტორატში მომუშავე კევინ პრიტჩარდი, ხოლო თავად ჩიქსი ახალი სამუშაოს ძებნას შეუდგა: „მე ძალიან მიყვარს კალათბურთი და ჯერ არ ვაპირებ, მას მოვწყდე."

**კოტე ყორშია**



მორის ჩიქსი

საქართველოს XV ჩემპიონატი. მეორე წრე

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

„ა“ ქვეჯგუფი. 3 მარტი

# მწირგოლიანი, მაგრამ დაძაბული

**იქნებ** ნაადრევ ნათქვამად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვფიქრობთ, გუშინ ჩემპიონატის საბრინჯაომედლო მატჩი გაიმართა. ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალამაც“ და „თელავმაც“ პრაქტიკულად გაინაღდეს ფინალურ ექვსეულში ადგილები და უკვე უფრო მაღალ მიზნებზეც ფიქრობენ.

საინტერესო და ბოლო წუთამდე დაძაბული დაპირისპირება გამოვიდა. თუმც ეგაა, შეტევაზე უფრო ამჯერად დაცვამ იყოჩაღა და ამიტომაც, ერთ-ერთი ყველაზე მწირგოლიანი თამაში ვიხილეთ.

დაცვა ვახსენეთ და იმასაც ვიტყვით, რომ თელაველმა შემტევებმა ვერაფერი მოუხერხეს სკოლელთა — ირაკლი სიგუას, ლევან ბერძენიშვილის, შოთა გრიშიკაშვილის „ორმეტრიან“ დამცავ კედელს და შთამბეჭდავი პირველი ტაიმის შემდეგ მიზანიც მოეშალათ, დაღლაც დაეტყოთ და დიდი მცდელობის მიუხედავად, მოედანი მარცხიანად დატოვეს.

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 1 | 0 | 323:248 | 21 |
| სტუ-შევარდენი | 10 | 0 | 1 | 377:265 | 20 |
| ქარიშხალა | 8 | 1 | 3 | 366:329 | 16 |
| თელავი | 6 | 0 | 6 | 321:306 | 12 |
| გორი | 0 | 0 | 11 | 232:371 | 0 |

### ხ/კ თბილისი 36:20 გორი

**თბილისი:** გარიშვილი, გონჩაროვი, სამარღანიშვილი (გაიტანა 15 გოლი), სულიკაშვილი (8), ლესერი (3), გელაშვილი (2), ქარდავა (2), ჟღენტი (2), ქოქოშვილი (2), სიორიძე (1), ფორაქიშვილი (1), ჩაჩანიძე, არსენაშვილი, აბულაძე

**გორი:** ტორონჯაძე, მშვიდობაძე (11), ქარქაშაძე (6), ხარაიძე (2), წურიაშვილი (1), ბაზანდარაშვილი, გურციშვილი, გელა ნასყიდაშვილი, გიორგი ნასყიდაშვილი, წკრიალაშვილი, აბრამიშვილი, თამაზიშვილი, თურმანიძე, მაისურაძე

*მსაჯები:* ელენე არაბული, გიორგი ბროლაძე

### ქარიშხალა 27:25 თელავი

**ქარიშხალა:** სიხარულიძე (1), ბიჩინაშვილი, ბერძენიშვილი (11), ქირია (5), გელა არაბული (5), გრიშიკაშვილი (2), სიგუა (1), გოგალაძე (1), ქუთათელაძე (1), საჯაია, ქსოვრელი, გიორგი არაბული, ჯოხაძე, ჩხაიძე

**თელავი:** ტურაშვილი, ბალაშვილი, ჯიშკარიანი (9), ნატროშვილი (6), მეტრეველი (4), ელიზბარაშვილი (3), ხარებაშვილი (2), გიორგელაშვილი (1), არჯევანიძე, ჩიკვაიძე, ხატიაშვილი, არჯევნიშვილი, სიბაშვილი

*მსაჯები:* ალექსანდრ ალა-ქიშიევი, ვაგიფ ალიევი





# კენიაში ბოდიში დაფასდა

**ორიოდე** დღის წინ გაცნობეთ, რომ კენიის მძლეოსნობის ფედერაციამ ერთ-ერთი გამორჩეული მარათონელი მკაცრად დასაჯა. ლონდონის მარათონის ორგზის მეორეადგილოსანი სიუზან ჩეპკემეი წლის ბოლომდე დარჩენილი ყველა შიდა და საერთაშორისო შეჯიბრიდან იმის გამო მოკვეთეს, რომ მარტის კენიური კროსისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე დააგვიანა.

„ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება კენიური სპორტის ღირსების გადასარჩენად მივიღეთ“ — ამბობდა „ათლეტიკს კენიას“ პრეზიდენტი ისაია კიპლაგატი, გუშინ კი ფირფიტა გადაატრიალა:

„ჩეპკემეიმ ბოდიში მოგვიხადა და გვთხოვა, შეგვეწყალებინა. ადამიანები ვართ, შეცდომისგან არავინაა დაზღვეული და რახან სიუზანმა თავისი შეცდომა აღიარა, გადავწყვიტეთ, დისკვალიფიკაცია მოგვეხსნა“.

კიპლაგატიმ ნახევარმარათონის სამგზის ჩემპიონის ედით მასის ორი დღის წინანდელი გაფრთხილებაც უკან წაიღო, აქაოდა, როგორც ექიმების დასკვნამ ცხადყო, ტრავმა მართლა აღმოაჩნდა და არანაირ სიმულაციას ადგილი არ ჰქონიაო. მასი მარტის კროსს გამოტოვებს, ჩეპკემეი კი მასზეც ირბენს და სააპრილო ლონდონურ მარათონზე შეეცდება, ორგზის მომგებ პაულა რედკლიფის რევანში აუღოს.



# სანია მირზა დაბადების დღეზე არ გაუშვეს

## მათთვის, ვინც ლამაზი და მაღალია

**სანია** მირზას ჰობის არჩევა სკოლის საზაფხულო არდადეგებმა აიძულა. ინდოეთში ზაფხულიც და არდადეგებიც ხანგრძლივია და თავის შექცევას ითხოვს. სანიამაც ჩოგბურთი აირჩია, სპორტის სახეობა, რომლის წყალობითაც დღეს მილიონობით თანამემამულის კერპია.

წელიწადი წელიწადს, ზაფხული ზაფხულს მისდევდა. სანია მირზა ჩოგანს იქნევდა, ვარჯიშობდა და აი, ახლა თებერვალში მან პირველი ტურნირი მოიგო, რამდენიმე დღის წინ კი აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებული სვეტლანა კუზნეცოვაც დაამარცხა.

მერე? მერე 18 წლის ინდოელმა თავი ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდზე აღმოაჩინა და ყველა პირობაც შეექმნა ცხვირი ძალიან მაღლა რომ აეწია, მაგრამ გაირკვა, რომ სანია პირიქით, მყარად დგას მიწაზე და ცხვირიც სწორად უჭირავს. ალბათ, იმიტომ, რომ არასდროს უოცნებია მილიონერ ჩოგბურთელობაზე. სხვანაირად რომ ვქთვათ, ჩოგბურთი მილიონების მოსახვეჭად არასდროს ნდომებია, მას, უბრალოდ, თავისი ჰობი ჰქონდა და სულ ეს არის.

„ბიჭი რომ ვყოფილიყავი, იქნებ კრიკეტი მეთამაშა — უთხრა სანიამ „როიტერის“ კორესპონდენტს — ჩემი მშობლები ხომ ყოველთვის სპორტის მიმდევარნი იყვნენ. მათ ჩემი ჩოგბურთელობა არაღსროს სდომებიათ, მაგრამ ის კი სურდათ, რომელიმე სახეობაში მუდმივად რომ ვყოფილიყავი ჩაბმული.

მოკლედ, ყოველ დღე ვცურავდი და ყოველ დღე დავდიოდი კორტებზე. აი, ასე დაიწყო ჩემი სპორტსმენობა. მახსოვს, დედამ მითხრა, ზაფხულობით რატომ არ თამაშობ ჩოგბურთს, ნუთუ ცურვის გარდა მეტი გასართობი ვერაფერი ნახეო და მეც დავუჯერე, ჩოგბურთი აღმოვაჩინე. მერე, სწორედ ჩოგბურთი გამოდგა ის სახეობა, რომელიც ჩემს ბუნებას და სტილს ყველაზე მეტად მოერგო“.

...ჟურნალისტებმა კარგად უწყიან, რომ ცნობილ ჩოგბურთელებს არ უყვართ თავიანთ ძლიერ და სუსტ მხარეებზე საუბარი, სანია მირზა კი პრობლემას ვერ ხედავს.

„გულწრფელად გეტყვით, ფეხსწრაფი არ გახლავართ, — ამბობს ის — სამაგიეროდ დარტყმის წამს ვარჩევ ისე ზუსტად, რომ არცთუ დიდი ღონის მიუხედავად, ბარე ორ ჩოგბურთელზე ძლიერი დარტყმა გამომდის. ასეთი მანერა ჩემი აგებულების ადამიანისთვის ყველაზე მორგებულია. აი, სქვოში ან ბადმინტონი რომ მეთამაშა იქნებ მეტი მოძრაობა დამჭირვებოდა.

...და მაინც საბოლოოდ როგორ ჩამოვყალიბდი პროფესიონალ ჩოგბურთელად? ნუ იფიქრებთ, თითქოს ერთ მშვენიერ დღეს ოჯახის წევრები დავსხედით, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ პროფესიულ სპორტს გავყოლოდი. ეს უბრალოდ, თავისთავად მოხდა დროის რაღაც პერიოდის განმავლობაში.

სანამ 12-13 წლის გავხდებოდი, ჩოგბურთი გართობა იყო და მეტი არაფერი. ერთხელაც არ გაგვივლია გულში, რომ ჩოგბურთს გავყვებოდი. ვთქვათ, ათის რომ ვიყავი და სათამაშოდ მივდიოდი, მშობლები გამარჯვებას საერთოდ არ მთხოვდნენ, საერთოდ არაფერს მაიძულებდნენ. ისინი მხოლოდ ერთს მეუბნებოდნენ, რაც ძალა და ღონე გაქვს დაარტყი, ხოლო რა მოხდება, გამოჩნდებაო“.

ის, რაც შემდეგ მოხდა, როგორც ჩანს, სანია მირზას მშობლებისთვისაც მოულოდნელი იყო:

წლეულს, წლის დასაწყისში ის გახდა პირველი ინდოელი ქალი, რომელმაც დიდი სლემის შეჯიბრებაში მესამე რაუნდს მიაღწია, თუმცა შემდეგ მომავალ ჩემპიონ, სერენა უილიამსთან დამარცხდა. ეს ავსტრალიის ღია პირველობაზე მოხდა.

ამ ამბიდან გამოხდა ორი კვირა და სანიამ კიდევ ერთი ისტორიული წარმატება მოიპოვა — „ჰიდერაბად ოფენის“ ფინალში რუს ალიონა ბონდარენკოს კონგრესის პრეზიდენტ სონია განდის წინაშე მოუგო და გახდა რომანათან კრიშნანის შემდეგ მეორე ინდოელი, რომელმაც დიდ ტურნირში გაიმარჯვა. განსხვავება ამ ორ ინდოურ ამბავს შორის 46 წელიწადი და გამარჯვებულთა სქესი გახლავთ. კრიშნანმა თავისი ტურნირი ლონდონის „ქუინზ კლაბში“ მოიპოვა.

„როდესაც 12-13 წლისა ვიყავი, ყველაფერი ძნელი იყო. დამეთანხმებით, ამ ასაკში ბავშვს თანატოლებთან თამაში უფრო უნდა, მე კი მსხვერპლს ვიღებდი, კორტზე ვიდექი. მეორე მხრივ ვხვდებოდი, რომ თუ ასეთ მსხვერპლს არ გავიღებდი, ვერაფერს გავხდებოდი და ახლა აქ ვერ ვიჯდებოდი... დიახ, იყო მომენტები, როდესაც გული მწყდებოდა, რომ მაგალითად, ვინმეს დაბადების დღეზე ვერ მივდიოდი ან კინოში ვერ ვახერხებდი გაძრომას, მაგრამ რა მექნა, თუკი მეორე დილის ექვს საათზე ისევ ფეხზე უნდა ვყოფილიყავი.



სანია მირზა

სხვა საქმეა, რომ ახლა თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ“.

ასე და ამგვარად სპორტი, სპორტი, სპორტი... თუმცა ისიც სათქმელია, რომ სანია მირზამ ზუსტად იცის პირად ცხოვრებაში რა სჭირდება — მეგობარი ვაჟი.

„ის ლამაზი უნდა იყოს, მეტრსა და ოთხმოც სანტიმეტრზე მაღალი... ისე, თუ სერიოზულად გნებავთ, მთავარია გამიგოს, კარგი ადამიანი იყოს და ეგოიზმი არ სჭამდეს. მე გამგები ბიჭი მჭირდება“.

**ტუტა სიხარულიძე**

## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 22 თებერვალი - 10 მარტი

**VII ტური**

გარი კასპაროვი (რუსეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5
*რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — დაისვენა*

# ილუმჟინოვმა თბილისში ლინარესი მოიკითხა





**მშვიდობიანი** და მოსაწყენი გამოდგა პირველი წლის ბოლო ტური. მეტოქეებმა სამივე პარტია სწრაფი ყაიმით დაასრულეს და დაფასთან 2 საათიც არ მსხდარან. მეშვიდე ტურში ლიდერობა შეინარჩუნა გარი კასპაროვმა, ხოლო ფიდეს ჩემპიონმა რუსტამ კასიმჯანოვმა, რომელიც ისვენებდა, მესამე ადგილიდან მეხუთეზე ჩაინაცვლა. იმ დღეს კი ლინარესში ყურადღების ცენტრში ეს სუპერტურნირი სულაც არ ყოფილა, სხვა უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა.

მოგეხსენებათ, გასულ უქმეებზე თბილისმა ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომას უმასპინძლა. ერთ-ერთი მთავარი თემა ჩაშლილი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. ფიდეს მალალჩინოსნებმა გადაწყვიტეს, რომ ოქტომბერში ჩაეტარებინათ ტურნირი „მსოფლიოს ჩემპიონი", სადაც პლანეტის რვა საუკეთესო დიდოსტატი ითამაშებდა და მათ შორის გამარჯვებული ჩემპიონად გამოცხადდებოდა. მაშინ ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა იმ რვა მოჭადრაკის გვარიც დაასახელა, რომელთაგან ექვსი ლინარესში თამაშობს და ვალეხოს გარდა ყველა პრეტენდენტია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით დიდოსტატებმა თავიანთი კომენტარები გააკეთეს.

„როგორ შევხვდი ფიდეს ამ ინიციატივას? ჩვეულებრივ, ჯერჯერობით მხოლოდ ამას ვიტყვი, რადგან დაპირებები აქამდეც მრავლად იყო. თავს დროზე კასიმჯანოვთან დუბაიში უნდა მეთამაშა, თუმც რომ ჩაიშალა, ოფიციალურად არ მაცნობეს. შემდეგ თურქული ვარიანტი გამოჩნდა და ოსმალთა ფული სადღაც აორთქლდა. მოკლედ, როცა ფიდეს ყველაფერი მზად ექნება და ოფიციალურად დამიძახებს, ვითამაშებ" — განაცხადა ფიდეს რეიტინგის პირველმა ნომერმა და პლანეტის მე-13 ჩემპიონმა გარი კასპაროვმა.

ფიდეს ჩემპიონი რუსტამ კასიმჯანოვი: „კირსან ილუმჟინოვი დამიკავშირდა და ამ ახალ ტურნირზე მკითხა, მე ვუთხარი, რომ ამჟამად მხოლოდ ლინარესის სუპერტურნირზე ვფიქრობ და სხვა არაფერი მაინტერესებს-მეთქი. მაშინ დამპირდა, რომ ის ან მისი რომელიმე ქვეშემრდომი ლინარესში ჩამოვიდოდა და ყველაფერს ადგილზე დააზუსტებდა".

ფიდეს რეიტინგის მესამეადგილოსანი ვესელინ ტოპალოვიც თანახმაა თამაშზე, თუმც მანამდე კონტრაქტის გაცნობა სურს. „თუ ფიდე ოფიციალურ კონტრაქტს მაჩვენებს, მე ყველაფერს დაზუსტებით გადავიკითხავ და ამის შემდეგ ვიტყვი პასუხს."

თამაშს არ უარობს უნგრელი პეტერ ლეკო. თუმც ამბობს, კასპაროვის, კრამნიკის და ანანდის გარეშე ეგ საქმე არ იქნებაო. „ეს უმთავრესია და მათ გარეშე უაზრობაა გამაერთიანებელ პროცესზე ილაპარაკო" — აღნიშნა ვეიკ ან ზეეს მომგებმა. შეგახსენებთ, რომ ლეკომ სექტემბერ-ოქტომბერში ვლადიმერ კრამნიკთან პაექრობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება დაკარგა და ამ ახალი გადაწყვეტილებით ჩემპიონობის შანსი კვლავ მიეცა.

ინგლისელი მაიკლ ადამსიც თანახმაა, თუმც კარგ საპრიზო ფონდს ითხოვს, ანანდის მწვრთნელი კი კომენტარებისგან თავს იკავებს და საბოლოო პასუხს ლინარესის შემდეგ იტყვის.

**ლაშა ბეგბაძორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 4ქულა/6პარტია |
| 2 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 3,5/6 |
| 3 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 3,5/6 |
| 4 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 3/6 |
| 5 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3/6 |
| 6 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 2,5/6 |
| 7 | ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 1,5/6 |



# კიევში და ლვოვში გავიარეთ, წინ ხარკოვია...

**კიევში** კვლავ გაიმარჯვეს თბილისელმა წყალბურთელებმა, რომლებიც უკრაინის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის III ტურის შეხვედრებში მონაწილეობენ. კიევის „დინამოსთან" მოგების (12:7) მერე გუშინ მათ ლვოვის დინამოელებსაც სძლიეს — 11:7 (4:2, 2:1, 3:4, 2:0).

ჩვენი წყალბურთელები ამ შეხვედრაში თავიდანვე დაწინაურდნენ და თამაშის ყველა მონაკვეთში სულ ცოტა ორი ბურთის უპირატესობით იყვნენ წინ.

თბილისელთაგან ბომბარდირობით ახლა თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა მიხეილ ბაღათურიამ, რომელმაც მეტოქეს, ისე როგორც პირველ შეხვედრაში გალაქტიონ ლაითაძემ კიევის „დინამოს", 5 ბურთი გაუტანა.

ლაითაძემ ამჯერად სამჯერ დალაშქრა მეტოქის კარი, ხოლო ზურაბ რურუამ, ესტატე ნიკოლეიშვილმა და ილია ბუტიკაშვილმა თითო ბურთი გაიტანეს.

ჩემპიონატს კვლავ ლიდერობს მარიუპოლის გუნდი, ხოლო ქართველი წყალბურთელები ისევ მეორე ადგილზე არიან.

ჩვენი წყალბურთელები დღეს, ტურის ბოლო მატჩში ხარკოვის დინამოელებს შეხვდებიან

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ისევ ცაში, ისევ მარტო
## ფოსეტის გარსაქვეყნო ოდისეა

**ამერიკელი** მილიარდერი სტივ ფოსეტი დიდი თავგადასავლებისა და ფათერაკების მოყვარული კაცია. ხან საჰაერო ბურთებით დაფრინავს დედამიწის გარშემო, ხან იახტებით სერავს ზღვებსა და ოკეანეებს, ზოგჯერ კი თვითმფრინავებით ცდილობს რეკორდების დამყარებას. ცდილობს და ყველგან მიზანს აღწევს. ფოსეტი ზოგჯერ თავისი ეკიპაჟის წევრებთან ერთად მიილტვის რეკორდებისკენ, უფრო ხშირად კი მარტოდმარტოა.

სტივ ფოსეტი მარტოდმარტო იყო, როცა საჰაერო ბურთით ძეხორციელთაგან პირველმა შემოუფრინა დედამიწას, თანაგუნდელებთან ერთად კი წყალზე სისწრაფის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

ფოსეტმა წყალსა თუ ზეცაში კიდევ ბევრი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და, რომ გვეგონა, ახლა კი ეს ასაკში შესული კაცი მშვიდად და უზრუნველად დატკბება ცხოვრებითო, ახალი იდეა დაებადა — ისევ გარსაქვეყნო მოგზაურობა, ოღონდ ამჯერად სრულიად ახალი კონსტრუქციის თვითმფრინავით, ძირსდაუშვებლად, საწვავის შეუვსებლად და, რა თქმა უნდა, მარტოდმარტო ფრენა, რაც აქამდე აზრადაც არავის მოსვლია.

ამ მიზნით მომზადდა სრულიად ახალი ტიპის თვითმფრინავი „გლობალ ფლაიერ ვერჯინი", რომელსაც ზეთანამედროვეს უწოდებენ.

ფოსეტის თვითმფრინავი საგანგებოდ ერთი კაცის ძირსდაუშვებლად ფრენისთვისაა განკუთვნილი. მასში სხვა მგზავრთა ადგილი გათვალისწინებული არ არის. ეს საფრენი აპარატი ცაში ისე გამოიყურება, როგორც სამი პატარა თვითმფრინავი, რომლებიც ერთი ფრთით არიან გაერთიანებული. თავად ფიუზელაჟის გარდა, სადაც პილოტის კაბინაა, ფრთებქვეშ საწვავის დიდი ავზებია, რომლებიც კიდევ ორი თვითმფრინავის ფიუზელაჟივით გამოიყურებიან. თავად კაბინა რამდენადმე პატარაა, ვიდრე საწვავის თითოეული ავზი. მთლიანად აღჭურვილი თვითმფრინავი 10 ტონამდეა.

ამ მეტად უჩვეულო კონსტრუქციის თვითმფრინავით სტივ ფოსეტი ორშაბათს 18 საათსა და 47 წუთზე აფრინდა.

ფოსეტის აზრით, ფრენა 80 საათის მერე, ან ნაკლებ დროში უნდა დასრულდეს. ეს კი ამაღამ, უარეს შემთხვევაში ღამის 2 საათსა და 47 წუთზე უნდა მოხდეს.



REUTERS

**კანზასის აეროდრომზე სტარტამდე**

ფოსეტს ამ მოგზაურობაში მიაცილებენ რეაქტიული თვითმფრინავები, საიდანაც ოპერატორები ფირზე აღბეჭდავენ მის ოდისეას. ფოსეტს, რა თქმა უნდა, რადიოკავშირი აქვს დედამიწასთან, ამ თვითმფრინავებთან და ჟურნალისტებთან.

სტივ ფოსეტმა სწორედ ამ კავშირის საშუალებით ჟურნალისტებს უამბო, რომ აფრენისას რამდენიმე პრობლემას წავაწყდი, რადგან თვითმფრინავი მოსალოდნელზე დაბალსიჩქარიანი გამოდგაო.

ამას გარდა, როცა ფოსეტი კანადის თავზე მიფრინავდა, მოულოდნელად ორი საათით გაითიშა საპოზიციონერო სისტემა, რომლისოდაც გართულებულია ნავიგაცია.

ფოსეტმა კანადის მერე გადასერა ატლანტის ოკეანე, ახლო აღმოსავლეთი, პაკისტანი, ინდოეთი, იაპონია და ჰავაის კუნძულები, რაც მთელი მარშრუტის 80 პროცენტია. და მაშინ, როცა, იგი ჰავაის კუნძულების თავზე მიფრინავდა, ფოსეტმა დედამიწას აცნობა, რომ მან რატომღაც მოსალოდნელზე მეტი საწვავი დახარჯა, მაგრამ იგი იმედოვნებს, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და დაეშვება კანზასში, ქალაქ სალინის აეროდრომზე, საიდანაც ორშაბათს აფრინდა. თუმცა საამისოდ მას კურსის რამდენამდე შეცვლა მოუწია. ფოსეტს, საბედნიეროდ, დიდი მხარდამჭერი გამოუჩნდა ძლიერი ზურგქარის მხრივ, რამაც წყნარი ოკეანის თავზე, 15 ათასი მეტრის სიმაღლეზე ფრენის სიჩქარე გაზარდა.

ფრენის მართვის ცენტრში განაცხადეს, რომ საწვავის მეტისმეტი დახარჯვის მიუხედავად ფოსეტს აქვს შანსი, რათა წარმატებით დაასრულოს ძირსდაუშვებელი ეული ფრენა სხვათა დაუხმარებლად.

**ავთანდილ ჭყვიშელი**






**სტივ ფოსეტი და მისი ძველი მეტოქე რიჩარდ ბრენსონი**

# ფერარი ქვიშაში

ახლოვდება ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშება ფორმულაში. მიხაელ შუმახერს ჯერჯერობით ლაღობის დრო აქვს და პლაჟის ფრენბურთის ოლიმპიურ ჩემპიონ გოგონებს ებურთავება. შუმი ცდილობს, კერი პოტარსტს აულოს ბურთი. მერე კი ისა და რუბენს ბარიკელო ამაკ გოგოებთან ლლაბუცობენ.



REUTERS მელბურნიდან




# ტაისონი სან რემოში

სან რემოს ფესტივალი ხომ გაგიგიათ? იქ მაიკ ტაისონი ჩაზეტებულა საპატიო სტუმრად და განთქმულ ტელეწამყვან პაოლო ბონოლისს ესაუბრება. რაი-ს ტელეარხი ბარე 70 ათას ევროს უხდის მაიკ ტაისონს ამ ვიზიტისათვის. საერთაშორისო და იტალიური ქალთა ორგანიზაციები, ცხადია, ბრაზობენ.



REUTERS სან რემოდან



REUTERS სიდნეიდან

# ტორპი წითელი ჯვრისთვის

„წითელმა ჯვარმა" სიდნეიში საქველმოქმედო მეჯლისი გამართა და მრავალ განთქმულთა შორის იქ ცურვის ყველაფრის ჩემპიონი იან ტორპიც იყო. ასზე მეტმა სახელოვანმა ადამიანმა გაიღო თანხები საქველმოქმედო მიზნისთვის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, ვახა ანანიაძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარიბაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ჩუჯიშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჟელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge